# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 3 დეკემბერი 2007 №279 (3202) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფრთხილად! ევროპოლმა ანკესი აჭიაში გადააგდო და საქართველო ამოიყვანა

უეფამ თაღლითობები 26-მდე დაითვალა



## კონტრაქტამდე ლევან ცქიტიშვილი კაიზერსლაუტერნშია

ლევან ცქიტიშვილი დღე-დღეზე კონტრაქტს გააფორმებს „კაიზერსლაუტერნთან“, რომელიც, სავარაუდოდ, ნახევარ წელს პლუს 2-წლიანი იქნება.

ცქიტიშვილი გუშინ ჩავიდა გერმანიაში და, წესითა და რიგით, საბოლოოდ შესათანხმებლად არანაირი შეფერხება აღარ უნდა ჰქონდეს.

# ფრანს ფუტბოლმა ვარსკვლავები დანომრა კაკამ ოქროს ბურთი მსოფლიოს შემოატარა

### საბოლოო ვერსია

კაკა

რონალდუ

მესი

დროგბა

პირლო

საქართველოდან ფრანს ფუტბოლის პარტნიორის

### სარბიელის ვერსია

კაკა

რონალდუ

მესი

იბრაჰიმოვიჩი

დროგბა



AFP ბარი ზიდან

# ევროპა ისევ უჩვეულოდ დაჯგუფდა




აი, ჯგუფი! აი, წილისყრა! სხვადასხვა დროის ევროპის ჩემპიონები, ჰოლანდია, იტალია და საფრანგეთი ბედმა ურთიერთობათა გასარკვევად ერთ, C ჯგუფში შეკრიბა და მეოთხე გუნდად საკმაოდ კერკეტი რუმინეთი დააყოლა — ევრო 2008-ის 16 მონაწილის დაბინავების ცერემონიალი ლუცერნის კულტურისა და თავყრილობათა ცენტრში გაიმართა.



# საქართველო შავ სიაშია!

ევროპულ ფეხბურთს ახალი სკანდალი ემუქრება: სიაში, რომელიც სანდო წყაროებზე დაყრდნობითაა შედგენილი, ევროპულ ტურნირებში მოთამაშე ის 26 გუნდია შეყვანილი, რომელთაც თამაშების გარიგებაში ედებათ ბრალი.

გერმანული „შპიგელის" ინფორმაციით, ამ მაფიის სათავეში აზიელი თაღლითები დგანან, ეჭვმიტანილთა სიაში კი, სამწუხაროდ, საქართველოც გვხვდება!

ამავე ჟურნალის ცნობით, სიაში უეფას თასზე მონაწილე 12, ინტერტოტოზე მოთამაშე 8 და ჩემპიონთა ლიგის 3 გუნდია; სამიც ნაკრებია...

გასულ სეზონში თურმე 15 საეჭვო შეხვედრა გაიმართა, დანარჩენი 11 კი 2005 წლის ივნისიდან 2006 წლის ნოემბრამდე.

ეჭვმიტანილ გუნდთა უმრავლესობა ევროპის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთური ქვეყნებისაა (მათ შორის ბულგარეთი, საქართველო, სერბეთი, ხორვატია და ბალტიისპირელები).

უეფამ ამის თაობაზე ევროპული პოლიცია — ევროპოლი — უკვე ჩააყენა საქმის კურსში.

როგორც გაირკვა, ნოემბრის დასაწყისში ევროპოლის თანამშრომლები ჰააგაში შეიკრიბნენ და 96-გვერდიანი დასკვნა წარადგინეს. წინა ზაფხულში ევროთასებზე მოთამაშე ოთხი გუნდის მაგალითზე მათ დეტალურად აღწერეს, რა მეთოდებით ხდებოდა თამაშების შედეგებით მანიპულირება და ჩაწყობა.

უეფა ამ მაფიის ცენტრად აზიას მიიჩნევს, რადგანაც იქ ევროპასთან შედარებით ყველაფერი სხვაგვარადაა და, ევროფეხბურთის ჩინოსნების აზრით, ნამდვილი სამოთხეა თაღლითებისთვის.

„ხალხს, რომელთაც ერთი თამაში „მოიხელთეს", თავისუფლად შეუძლიათ ამ ერთ მატჩში 1-2 მილიონი ევროს მოგება" — წერია დასკვნაში — „უფრო მნიშვნელოვან თამაშებში კი ეს თანხა განსაკუთრებულად დიდი შეიძლება იყოს".

უეფას იმედი აქვს, რომ ევროპოლი შეძლებს ფეხბურთში არსებული ბინძური მანიპულაციებისა და კრიმინალის გამოაშკარავებას.

ცოტა ხნის წინ ევროპოლის წარმომადგენლები ფულის გათეთრების თემით იყვნენ დაინტერესებულნი. რა თქმა უნდა, ეჭვგარეშეა, რომ თამაშების შედეგებით მანიპულირება საუკეთესო გზაა ნარკოვაჭრობით, იარაღის გაყიდვითა და პროსტიტუციით ნაშოვნი ფულის უპრობლემოდ გასათეთრებლად.

უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ უკვე დაადასტურა, რომ უამრავი ფეხბურთელი შემოწმდება, როგორც თაღლითობაში ეჭვმიტანილი.

„უეფა ევროპოლთან ერთად 15 თამაშს იკვლევს. ჩვენ ამ პრობლემაზე ბრიუსელის კონფერენციაზეც ვისაუბრეთ და 2008 წელს ერთხელაც გავმართავთ შეხვედრას, რომლის მთავარი თემაც იქნება კორუფცია და ფულის გათეთრება სპორტში".

ამ ეჭვების დადასტურების შემთხვევაში, უეფა დამნაშავეებს უმკაცრესად დასჯის.

სხვა რა ვთქვათ, „შავ სიაში" საქართველოს აღმოჩენა სამწუხაროა, მაგრამ მაინცდამაინც გასაკვირი თუნდაც იმიტომ არ არის, რომ 2004 წელს მსგავს სკანდალში თბილისის „დინამო" გაეხვა, როცა ბერძნულ „პანიონიოსთან" საუეფასთასო მატჩში 2:5 წააგო. იმ ამბავს ცუდი გაგრძელება არ მოჰყოლია.

**ნინო სილაგაძე**


ეროვნული ბიბლიოთეკა

# კანკავამ გოლები ააკაკანა

ისევ გაიტანა ჯაბა კანკავამ — ქართველმა ნახევარმცველმა წინა ტურში ბოლო წუთზე შეაგდო „დნიპროსთვის" გადამწყვეტი გოლი, შაბათს კი, დონეცკის „მეტალურგთან" სტუმრად მოგებულ 3:0-შიც იხეირა: ბურთი საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო, ოდნავ წინ წაიწია და შორეულ კუთხეში დაურტყა მეკარეს. ეს მეორე ტაიმის დასაწყისში მოხდა და „დნიპრო" 2:0 დაწინაურდა. სხვათა შორის, ჯაბამ მთლად თავის პოზიციაზე, საყრდენ ნახევარმცველად კი არა, ოდნავ წინ, ფორვარდთა უკან ითამაშა.

დნეპრისპირელები მეორე ადგილზე არიან და ლიდერ „შახტარს" ფეხდაფეხ მისდევენ.

დავით კვირკველიამ რატომღაც მხოლოდ მეორე ტაიმი ითამაშა „ხარკოვთან". მისმა ზაპოროჟიეს „მეტალურგმა" კი 1:0 მოიგო. კვირკველიას ბოლოს კარგი მომენტი გაუცუდდა და კიდევ, ყვითელი ბარათიც მიიღო.

კიევის „არსენალმა" ვასილ გიგიაძის გარეშე მოთამაშე „ნაფტოვიკთან" 0:1 წააგო. „მეთოფეებთან" გიორგი დემეტრაძემ ძირითადში დაიწყო და 56-ე წუთზე შეცვალეს.

ლაშა ჯაკობიას არ უთამაშია, მისმა „მეტალისტმა" კი სტუმრად 1:0 სძლია კახა ალადაშვილ-ოთარ მარცვალაძის „ზაკარპატიეს". ალადაშვილმა სრულად იბურთავა და ყველაზე აქტიურიც იყო გუნდში, მარცვალაძე კი 82-ეზე შევიდა მინდორზე.

ავსტრიაში გადავინაცვლოთ, სადაც გიორგი შაშიაშვილის „შტურმმა" „მატერსბურგთან" 2:1 მოგებით მეორე ადგილზე აინაცვლა. „შაში" 90 წუთი მინდორზე იყო.

კვლავ უქმად დარჩა ზურაბ ხიზანიშვილი, ვისმა „ბლექბერნმაც" სამდღიან ინტერვალში ორი თამაში გამართა და პირველად თუ შინ „ასტონ ვილასთან" 0:4 განადგურდა. შაბათს „ნიუკასლი" 3:1 დაამარცხა.

კახა კალაძის „მილანმა" კი სერია A-ს მიმდინარე სეზონში მეშვიდე საშინაო მატჩიც ვერ მოიგო: ამჯერად „იუვენტუსს" 0:0-ზე გაეყარა და საჩემპიონთალიგო ოთხეულიდან კვლავ მოშორებითაა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა სრულად და სტაბილურად ითამაშა — შეტევაში თუ აქტიური არ ყოფილა, დაცვაში თითქმის უშეცდომო იყო.

გერმანული ამბები: ტრავმიანი ლევან კობიაშვილის „შალკემ" ბუნდესლიგაში 1:0 მოუგო „ბოხუმს", ხოლო ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუემ" აუტსაიდერ „კოტბუსთან" 0:2 დათმო. „აკუნა" სათადარიგოებში იჯდა.

მეორე ბუნდესლიგაშიც ვერ იხმაურეს ქართველებმა — მათე ღვინიანიძის „მიუნხენ 1860" ნელ-ნელა ქვევით ეშვება. ამჯერად „ლომები" დავით სირაძის „პადერბორნს" შინ 0:0 ეთამაშნენ. სირაძის ამბავი იცით, ღვინიანიძემ კი შეუცვლელად იბურთავა.

„ფრაიბურგში" არც ამჯერად დარღვეულა ტრადიცია: ოთარ ხიზანეიშვილი სათადარიგო იყო. „ფრაიმ" კი 0:0 ითამაშა „ოფენბახთან" და მეორე ადგილზეა.

სამაგიეროდ, „კარლ ცაისმა" მოიგო: აუე-ს 2:1 აჯობა, გიორგი ონიანმა და ილია კანდელაკმა კი 90-90 წუთი ითამაშეს.

კანდელაკი მარცხენა საყრდენი ნახევარმცველი გახლდათ.

შვეიცარიაში „თუნმა" შინ 0:2 წააგო ლიდერ „ბაზელთან" და კვლავაც გავარდნის ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად რჩება. სანდროიაშვილმა 60 წუთი ითამაშა და შეცვალეს.

**ილია ნანობაშვილი**



## გიო ახვლედიანის სვეტეული

# წამოწყებული საქმეები

ისევ ჯგუფი, ისევ თვლა, ამბავი, მეობა და ქართველობა.

ფეხბურთი ასეთია, სულ რომ გასართობად თამაშობდე, მაინც მოხვდები შესარჩევ ჯგუფში.

ჩვენ კი ბოლო ასი წელიწადია, ვთამაშობთ. სწორედ 1907 წლის ფოტოზეა აღბეჭდილი პირველი თბილისური გუნდი „სოკოლი". ამიტომ ჩვენ ყოველთვის ვიქნებით შესარჩევ ჯგუფებში და ყოველთვის გვექნება დიდი შეჯიბრების ფინალურ ეტაპზე მოხვედრის სურვილი და ოცნება.

ახლა წინ კიდევ ორი წელიწადია და ჩვენ კიდევ გვაქვს იმედი, რომ გავალთ მსოფლიოს ჩემპიონატზე, ვითამაშებთ სადმე დურბანში, ბლუმფონტენში, არ სულაც კეიპტაუნში.

ეს არის მოთხოვნა და ოცნება ქართველი გულშემატკივრებისა მას შემდეგ, რაც ჩვენი ფეხბურთი დამოუკიდებელი შეიქნა.

საქმეს რომ მკაცრად მივუდგეთ, საქართველოს ნაკრებს არსებობის პირველი დღიდან დღემდე არ მოუგია გადამწყვეტი თამაში. მეტიც, არც მისულა გადამწყვეტ თამაშამდე საქმე. მას ზოგჯერ უთამაშია დაწყობილად და მაგრად, და მთელი ამ 15 წლის განმავლობაში რაც გაუკეთებია სახმაურო — იტალიელებისთვის ჩაუშლია პირდაპირ გასვლა, და აგერ ახლა, შოტლანდიელებისთვის გაუფუჭებია საქმე. სხვაფრივ, საქართველოს დიდ გუნდებზე ნაკლებად უმოქმედია. კი, დაჩაგრულა ხოლმე მათთან თამაშში მსაჯებისგან, მაგრამ ამას ვინ გამოუკიდება? ასევე, საქართველოს მოუგია უელსისთვის 5:0, მაგრამ ვის არ მოუგია უელსისთვის? ნაკრებს დაუმარცხებია ბულგარელები და ნამდვილ სახალხო თამაშში რუსები, რაც სრულიად გამორჩეული ამბავი იყო. თურქებთან იქ-

და ასე შემდეგ.

კი, აქ უკრაინასაც მოვუხერხეთ რაღაც, მაგრამ ეს ყოველივე ცოტაა 15 წელიწადისთვის. მოკლედ, მკაცრად რომ შევხედოთ, საქართველო იმ კალათის გუნდია, რომელშიც მოხვდა. როცა ლატვია თურქეთს ტოვებს ევროპის ჩემპიონატის გარეთ, ჩვენი კალათა განსაკუთრებით დამთრგუნველია.

მაგრამ მკაცრად შეხედვა ერთია, მეორე კი ის, რომ ფეხბურთი დემოკრატიული თამაშია და მასში გამარჯვება ყოველთვის შეიძლება. ის ლაღი და თავისუფალი თამაშია და თუ სწორად თამაშობ, ბევრის მიღწევა შეგიძლია. ამას ევროპის ახალი გუნდები წარამარა ამტკიცებენ, ბერძნები ევროპის ჩემპიონები ხდებიან.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველო ფეხბურთის გარეთაც უმაღლეს მიზნებს ისახავს, მაშინ რაღა ფეხბურთი გამოვაკლოთ? მერე რა რომ, ხშირად უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა ჩვენს სახალხო შესაძლებლობებს აღემატება. ეს ხომ ფეხბურთია: ასეთი თავისუფალი და განუმეორებელი რამ, ამიტომ მიზანი მიზნად რჩება, ოცნება — ოცნებად, იმედი — იმედად და ასე დაუსრულებლად.

ახლანდელი საქართველოს ნაკრები თითქმის სწორად თამაშობს, შარშან შემოდგომაზე აგებდა, მაგრამ ეს დასამახსოვრებელი თამაშები იყო. რა იქნება ხვალ, ვერ ვიმარჩიელებთ. ყმაწვილები, ლევან ყენიას თამადობით, საუცხოონი არიან, მაგრამ მთავარი ხომ ის არის, როგორ დაიწყებ ციკლს?

ბლუმფონტენამდე ჯერ შორია. თუმცა, როგორც სიმღერაშია, არცთუ ისე შორია.

საქართველო ახლა წამოწყებული საქმეების ქვეყანაა. ამ ფეხბურთშიც ასეა. წამოწყებული საქმეები რიხით და იმედით დაიწყო, მაგრამ ყოველ ხელახლა წამოწყებულ საქმეს რიხის შემდეგ რთული მოსახვევები და ნამდვილი სიმძიმე მოსდევს. მოსდევს შეცდომები, სირცხვილები, პატარა სიხარულები, დიდი კრიტიკა და ის სილამაზე, რიხს რომ ახლავს ხოლმე, თანდათან ქრება, ადგილს ყოველდღიურ შეუხედავ და აუტანელ ყოფას უთმობს ხოლმე. მთავარიც ეს არის, რომ ეს გაიარო, ნამდვილი და მძიმე საქმე, თორემ ქაუნთერ სთრაიქიც მუსიკით იწყება და სამ წამში მოგკლავენ, თუ კედელს არ ამოეფარე.

ახლა, შემადგენლობის პრობლემები, წყენები, მეკარეებზე გაუთავებელი ლაპარაკი, ხიზანამ უარი თქვა, ტოპი არ მიესალმა, სხვა ფეხბურთელების წყენები და კიდევ გრძელი სიაც, არც გასაკვირია და არც მოულოდნელი. ლამის საქართველოა გაყოფილი და იქ თუ ნაკრებში სალამი გვიანდება, ეს არც წარუმატებლობის მიზეზი უნდა გახდეს და არც წარმატების. ნაკრები ნაკრებია, ისევე როგორც ქვეყანა, ის მარადიულია. თორემ ჰოდლმა გესქოინი არ შეიყვანა და იმანაც დალეწა, რაც ხელში მოხვდა. 1986 წელს ალან ჰანსენმა შოტლანდიას უგანა, ზედ ჩემპიონატის წინ. რა ჰანსენი, კრუიფმა არ ითამაშა 78-ში და შუსტერმა საერთოდაც–

თავისუფალ ხალხს შეუძლია ასეთი რამეების კეთება.

თავისუფალ ხალხთან მხოლოდ დაზომება კი, შენსიმაღლე ვარო, არაფერს ნიშნავს. ქცევით და ფიქრით უნდა დაეზომო. მაშინ ბევრი რამ სხვანაირად იქნება.

ძალიან მინდა, რომ კეიპტაუნში აღმოვჩნდეთ. იოჰანესბურგში...

უცებ ისე გაგვეჭედება ხოლმე რაღაცებში... თითქოს სწორად მივდივართ, ყველაფერს ვაკეთებთ, აჰა, მივედით, უნდა გავიაროთ და გაიჭედა. ამაზე გულსატკენი არაფერია. ისეთი გულსატკენია, რომ არც ვიცი. მარტო ფეხბურთში კი არა, ფეხბურთშიც. ჰოდა, აბა... მაინც, ხელახლა და დაულალავად. შეცდომებსა და სიმძიმეებზე გადაბიჯებით. სხვანაირად თამაშს როგორ მოიგებ?

აგერ, ინგლისი დარჩა გარეთ.

ფეხბურთი ხომ ასეთი თამაშია, იქ ყველაფერი ჩანს ადამიანებით დაწყებული, ფიქრებით დამთავრებული.

## საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა — I წრე. 13 ტური

# იყო თუ არა იყო რა?
## ზესტაფონმა გლდანში პირველად გაიხარა

თბილისი. 1 დეკემბერი. 14.10 საათი. ამერი. 900 მაყურებელი

### ამერი 1:2 ზესტაფონი

1:0 დავითნიძე (5), 1:1 გ. ნოდ. ჭელიძე (10), 1:2 ჟონატასი (63)

ამერი: ქვაჩახია, კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე (ბ. ცხადაძე 80), დოლიძე (ა. ალავიძე 73), ბოლქვაძე (ტატანაშვილი 63), დიდავა, დეკანოსიძე, ჯელაძე, რ. გოცირიძე
სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი, მესხი, შალამბერიძე, კობაური
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

ზესტაფონი: ჭანტურია, ს. თოდუა, უ. ლობჯანიძე, საჯაია, კ. ჩხეტიანი, ჟონატასი (ხიდეშელი 74), გ. ნუგ. ჭელიძე (შ. ლონლაძე 86), რ. ონიანი, კუხანი, ბ. გოცირიძე, გ. ნოდ. ჭელიძე (ფიფია 74)
სათადარიგონი: რ. კვასხვაძე, იონანიძე, ბიტოო, ვიეირა
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

გაფრთხილება: ბოლქვაძე (48), ჯელაძე (57), დავითნიძე (78), თოდუა (84)

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ლ. მიქელაძე, ი. კაკაბაძე, ა. ნონიკაშვილი


ბაქარი ერქომაიშვილის ფოტო

კოტე კეკელია

თუკი გულშემატკივართაგან ვინმემ არ იცის, ან არ ახსოვს „ამერისა“ და „ზესტაფონის“ შეხვედრების მნიშვნელობის ამბავი, მოკლედ შევახსენებთ: ეს ის გუნდებია, საქართველოს თასის ბოლო ორ ფინალში რომ შეხვდნენ ერთმანეთს და ორივე ის ფინალი „ამერმა“ მოიგო. ეს ფაქტი სავსებით საკმარისი მიზეზი უნდა იყოს იმაში დასარწმუნებლად, რომ „ამერისა“ და „ზესტაფონის“ ნებისმიერი შეხვედრა, შეუძლებელია, დაძაბული, დამნდობი და უჯიგრო გამოვიდეს.

ნებისმიერი თამაში ვახსენეთ და, სამი თვის წინ ეს გუნდები ამხანაგურად რომ გაეჯიბრნენ ერთმანეთს (3:3), ისეთი ბრძოლა გამოვიდა, კაცი ძნელად დაიჯერებდა თამაშის ამხანაგურობას.

ჰოდა, რაღა მტკიცება უნდა, შაბათის თამაშიც, რომლის შედეგსაც „ზესტაფონის“ ლიდერად დარჩენის ბედი რომ უნდა გაერკვია, ხოლო „ამერისთვის“, ფაქტობრივად, ბოლო საჩემპიონო გაბრძოლება იყო, რამეთი ნაკლები გამოვიდოდა?!

და ერთი სტატისტიკური ცნობაც: „ზესტაფონს“ გლდანში აქამდე არ მოეგო.

უშუალოდ თამაში კი... თუმცა, მოდით, ქრონოლოგია დავარღვიოთ და ჯერ ის ეპიზოდი ალვწეროთ, მატჩის დაწყებიდან ნახევარი საათის თავზე რომ იყო. ზესტაფონელთა საჯარიმოში გიზო ჯელაძე დატრიალდა, მეურვე მოატყუა და დაარტყა. გრიგოლ ჭანტურიამ ბურთი მოიგერია, გიორგი დეკანოსიძეს მიუვიდა, ამან ისევ კარისკენ გაისროლა, გზად, მეკარის ბაქნის წინ რევაზ გოცირიძემ ფეხით მიმართულება ოდნავ შეუცვალა და გაიტანა.

თანამსაჯმა ლევან მიქელაძემ ალამი აღმართა და არბიტრმა დავით ხარიტონაშვილმა გოლი გააუქმა.

ეპიზოდმა გვარიანი კამათი გამოიწვია და თამაშის მერე ამ ეპიზოდის ვიდეოზე რამდენჯერმე დატრიალების საშუალება რომ მოგვეცა, ასეთი აზრი გაგვიჩნდა: გოცირიძე თამაშგარეში ჩარჩენილს თითქოს არ ჰგავდა...

ასეა თუ ისე, გოლი არ ჩაითვალა, იმ დროისთვის კი ანგარიში უკვე 1:1 იყო.

თამაში რამდენიმე წუთის დაწყებული გახლდათ, ჟონატას ტორესმა კარისკენ დაძრული ჯელაძე რომ წააქცია. დეკანოსიძემ საჯარიმოში ჩააწოდა, ბოლქვაძემ ლონივრად დაარტყა, ჭანტურიამ მოიგერია, „ამერის“ კაპიტანმა გიორგი დავითნიძემ კი დამატებაზე შეაგდო...

ხომ წარმოგიდგენიათ, რა ყიჟინაც ატყდებოდა ამერელთა ბანაკში?! ჰოდა, სიხარულის პირველმა ტალღამ რომ გადაიარა, მეგოლე დავითნიძემ მხრის ძლიერი ტკივილიც მერე იგრძნო. ცხადია, უწამლეს, მაგრამ კაპიტანი მთელი თამაში მალიმალ იკიდებდა ხელს ნატკენ ადგილას და მეორე დღეს რომ მოვიკითხეთ, ახლაც ძალიან მტკივა, გოლის გატანისას ვიღაცას შევასკდიო.

რამდენიმე წუთში კი მასპინძელთა სიხარული საბოლოოდ გაქრა, „ზესტაფონმა“ მეტოქის უბრალო შეცდომიდან მაქსიმუმი გამოადნო: ზესტაფონელებმა გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძის მისამართით არაზუსტი პასი გააკეთეს. ბურთი გიორგი ელბაქიძისკენ გაგორდა, რომელმაც მოგერიება სცადა, მაგრამ აეჭრა და ჭელიძეს სრულიად მოულოდნელად კარისკენ გზა გაეხსნა. თანაგუნდელის შეცდომის გამოსწორება ცენტრალურმა მცველმა თენგიზ ჩიკვილაძემ სცადა, საჯარიმოში შეჭრილ ზესტაფონელს ფეხებში ჩაუვარდა და... ხარიტონაშვილმა საპენალტედ ჩასტვინა. დარტყმა გიორგი ნოდარის ძე ჭელიძემ ითავა და, შეიძლება ითქვას, გაუმართლა: ზურაბ ქვაჩახიას მოგერიებამდე იოტისოდენა დააკლდა.

პირველი ტაიმის საკვანძო ეპიზოდები ესენი იყო, მეორეში კი სტუმრებმა გამარჯვების და ლიდერობის შემნარჩუნებელი გოლი გაიტანეს.

ზურაბ ქვაჩახია: „ჟონატასის დარტყმული აულებელი არ იყო, ისე ვიდექი, რომ ბურთი პირდაპირ ხელებში მომდიოდა. სამწუხაროდ, ბოლქვაძეს მკერდზე მოხვდა, მიმართულება ოდნავ შეიცვალა და რეაგირება ველარ შევძელი“.

ასე დაწინაურდა „ზესტაფონი“, რის მერეც თამაშის დასრულებამდე ნახევარი საათი კიდევ რჩებოდა, გადასარჩენად კი გიორგი ჩიხრაძემ დიმიტრი ტატანაშვილი შეუშვა.

„ტატანას“ „ყვითლების“ გადარჩენა ნაღდად შეეძლო. იერიშებს სიმწვავეც შემატა და ერთ ეპიზოდში ბურთი ხარიხასაც გაარტყა. მთლიანობაში, ეს ხარიხაც რომ არა, „ამერმა“ ისე შეუტია, სავსე ტრიბუნას გოლის მოლოდინი ბოლო წამამდე არ დაუკარგავს...

მეტი რა ვთქვათ? „ზესტაფონი“ კვლავ ცხრილის თავშია და თამაშის მერე მათიანები უკვე „დინამოსთან“ გადადებულ მატჩზე ლაპარაკობდნენ. ხოლო „ამერს“ სეზონის სხვა თამაშებიც ასე ლონივრად რომ ჩაეტარებინა, წაგებათა გრაფაში ახლა 5 არ ეწერებოდა.

# გოლებით გუნდაობა ბორჯომში
## საკამიდან აღგომა ძვირად დაფასდა

ბორჯომი. 2 დეკემბერი. 14 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი. 500 მაყურებელი

### ბორჯომი 4:3 მგლები

1:0 ჯიქია (6), 2:0 ყველაშვილი (12), 2:1 ჭედია (59), 3:1 ქარქუზაშვილი (72), 3:2, 3:3 კუტალია (82, 86), 4:3 თედიაშვილი (87)

ბორჯომი: გლუნჩაძე, ქარქუზაშვილი, ლ. მერებაშვილი, ლ. ჭელიძე (თედიაშვილი 46), ლომიძე, კ. ხანიშვილი (ნასყიდაშვილი 76), მემარნიშვილი, ნერგაძე, დევიძე (გოგიჩაიშვილი 52), შ. ჯიქია, ყველაშვილი
სათადარიგონი: შეყრილაძე, თ. ლონლაძე, შ. გრიგალაშვილი
მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

მგლები: ივარდავა, ქომეთიანი, ხუხია, მაჭავარიანი, კაკაბაძე, ქირია (ქვადუა 77), ჯოჯუა, ხუბუა (გაბედავა 46), წურწუმია, ბაკარანძე (კუტალია 69), ჭედია
სათადარიგონი: ჭითანავა; ლიპარტია
მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

გაფრთხილება: დევიძე (37)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ზ. ხუციშვილი, კ. ბერაძე; ზვ. ასკაროლლი

მიხეილ ჟორჟოლიანი ბორჯომიდან

„ბორჯომი“ და თოვლი თანამგზავრები შეიქნენ: ჯერ იყო, ბოლნისში ითამაშეს დათოვლილ მოედანზე, შაბათს კი ბორჯომში ისე მოთოვა, მასპინძლებმა თამაშის გადადება მოითხოვეს, მოედნის გადათოვლას ვერ მოვასწრებთო.

კვირას ბორჯომელთა ხელოვნურსაფარიანი „ჯემალ ზეინკლიშვილი“ იდეალურად გამოიყურებოდა და ზამთრის სუსხის მიუხედავად, მწვანედ „ბიბინებდა“.

ეტყობა, კარგი მოედანი ორივე გუნდს ეამა და ისეთი ლაღი ბურთაობა გაჩაღდა, იშვიათად გვინახავს.

მე-12 წუთისთვის მასპინძლები უკვე 2:0-ს იგებდნენ: გიორგი მემარნიშვილმა თავისივე წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა მეკარის ბაქანში ჩააწოდა, იქ კი შოთა ჯიქიამ ყველას დაასწრო და ანგარიში გახსნა; მეორე გოლისას კი ამირან ყველაშვილმა საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი ვლადიმერ ჯოჯუას აართვა და დაუფიქრებლად წინ გამოსული მანუჩარ ივარდავას ზურგსუკან ჩაუშვა — ასეთ კარგ დასაწყისს მასპინძლები ვერც ინატრებდნენ.

გონს თანდათან სტუმრებიც მოეგნენ — მე-17 წუთზე დავით ქირიას შორეულ გასროლილზე კახა გლუნჩაძემ კარი დაკარგა და ბურთი პირდაპირ პაატა ბაკარანძეზე მოიგერია, რომლის დარტყმულიც ძელს მოხვდა. ტაიმის ბოლოს კი პირისპირ დარჩენილი ლევან წურწუმიას დარტყმული ცარიელი კარიდან გივი ქარქუზაშვილმა გამოიტანა.

ამ მომენტებს შორის შოთა ჯიქიამ ისეთი ვერ გაიტანა, სტუმრებსაც გაუკვირდათ: ბორჯომელთა ბომბარდირმა მემარნიშვილს უპასა, მან კი ჯიქიას კართან ორ მეტრში დაუბრუნა და ყველას რომ მესამე გოლი ეგონა, ბორჯომელმა კარს ააცილა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ყველაშვილს მესამე გოლის გატანა ორჯერ შეეძლო, თუმც ჯერ კარს ააცილა, მერე კი ივარდავამ აჯობა.

ამასობაში სტუმრებს უქმად ყოფნა მოსწყინდათ და...

59-ე წუთზე მურთაზ კაკაბაძის ჩაწოდებული ჯარიმის შემდეგ გიორგი ჭედია მცველებს გაეპარა და თავური დარტყმით სხვაობა შეამცირა. მალე შეცვლაზე შესულ დავით კუტალიას გათანაბრებაც შეეძლო — იმავ კაკაბაძის ჩაწოდებული კარს მცირედით ააცილა.

72-ე წუთზე „ბორჯომმა“ ნანატრი მესამე გაიტანა — ქარქუზაშვილმა საჯარიმოში კედელი გაითამაშა ყველაშვილთან და მეკარე უშანსოდ დატოვა.

თითქოს მატჩიც აქ დასრულდა...

82-ე და 86-ე წუთებზე „მგლებმა“ ტყუპისცალივით გოლები გაიტანა: მარჯვენა ფლანგზე მამუკა ჭკადუა ჩაირბენდა, საჯარიმოში ჩააწვდიდა და კუტალიას გაჰქონდა. მხოლოდ ერთი განსხვავება იყო: პირველ შემთხვევაში გლუნჩაძემ კუტალიას აუღო და თავდამსხმელმა მეორე ცდაზე გაიტანა.

ეტყობა, ანგარიშის გათანაბრებამ ნამეტანი გაახარა სტუმრები და დაისაჯნენ კიდეც. ცენტრში გათამაშებული ბურთი მემარნიშვილმა საჯარიმომდე ჩაიტანა, იქ ჯიქიას მიაწოდა, მან კი ლევან თედიაშვილი ივარდავას პირისპირ შეატოვა და 4:3.

გამოსარჩევი ისიცაა, რომ მატჩის ბოლო სამი გოლი შეცვლაზე შესულებმა გაიტანეს, თან ორჯერ ასისტენტობას ასევე შეცვლაზე შესულები უწევდნენ.

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 13 ტური

# დადუბლებულ-დაპეთთრიქებული
## შატაკიშვილმა დაარტყა, დაარტყა, დაარტყა...


გიორგი მერებაშვილს
ასე თუ აჩერებდნენ

თბილისი. 2 დეკემბერი. 14 საათი. ერონეული. 100 მაყურებელი

### დინამო 5:0 დილა

1:0 მერებაშვილი (22), 2:0 ხუციშვილი (30პ), 3:0 მერებაშვილი (53),
4:0, 5:0 ხუციშვილი (63, 89)

**დინამო:** ოვონო, შ. კაშია (გ. კაშია 82), ზელიჩი, კრშკო, დობეში, ხმალაძე, ოდიკაძე, დილმელაშვილი, გ. მერებაშვილი (ს. კობახიძე 66), ხუციშვილი, აკირემი (სპასოევიჩი 60)
სათადარიგონი: გრიშიკაშვილი; თომაშვილი, ფეიქრიშვილი, ფირცხალავა
**მწვრთნელი:** დუშან უჰრინი

**დილა:** კეზხუაშვილი, ბალაშვილი, ლაცაბიძე, დ. ხანიშვილი, ბალიაშვილი, სადალაშვილი (ი. ლომიძე 58), ნ. ნოზაძე (ტლაშაძე 32), შატაკიშვილი, სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია, სამადაშვილი (ჩუკვუ 67)
სათადარიგონი: თ. ილურიძე; იჩქითი, კურტანიძე, მასურიშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი

**მსაჯები:** გ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ზ. ახკაროლლი; ვ. ელიხაბედაშვილი

**ილია ნანობაშვილი**

**ცუდია,** როცა ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის ძალა ეროვნულ ჩემპიონატში მხოლოდ თითო-ოროლა მატჩებში ჩნდება. აბა, მიდი და შეაფასე დუშან უჰრინის „დინამო“ „დილასთან“, რომელსაც მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა — რაც შეიძლება, ცოტა გოლი გაეშვა.

ასეთი თამაშების ბრალიცაა, ჩვენი კლუბები ევროტურნირებზე სამარცხვინოდ რომ გამოდიან: როგორია, მიჩვეული ხარ უოფლოდ მოგებას, სირბილი არც გჭირდება, მერე კი გადიხარ იმათთან, ვინც სირბილიც იცის, ჯანიც მოსდევს... კაცი, რომელსაც თოკი არა აქვს, ევერესტზე ავა?. დაახლოებით ასეა ჩვენი კლუბების ევროპული ამბავიც.

ძალიან გაგვიგრძელდა...

ახლა კი „დინამოს“ გატანილებზე ვთქვათ, რომელთაგან სამი მიხეილ ხუციშვილისა იყო. მან პირველად გიორგი მერებაშვილის მონადირებული პენალტით იხეირა, მეორე ტაიმში კი ჯერ დავით ოდიკაძის ფლანგური პასი შეიშნოვა, ბოლოს კი დავით დილმელაშვილის პასით პირისპირ დარჩა ბესიკ კეჩხუაშვილთან და 5:0 გახადა.

არ იფიქროთ, ხუციშვილის გარჯას ვაკნინებდეთ, მაგრამ სამივე გოლი უადვილესი გასატანი იყო.

მერებაშვილმა კი დუბლი მიითვალა: პირველად ლევან ხმალაძე დაეხმარა, მეორედ კი ოდიკაძის მარჯვენაფლანგური გარღვევა დაასრულა — „დინამოს“ 17 ნომერი ბობოქარ სეზონს ატარებს, აშკარად ერთ-ერთი საუკეთესოა ჩემპიონატში.

ასეთი ცალკარა თამაშებისას კი მაინდამაინც ნუ დაწვრილმანდებით და გაცუდებულ მომენტებს ნუ ჩამოვთვლით. ადვილი მისახვედრია, „დინამოს“ ასეთი ბევრი ექნებოდა. აი, „დილას“ კი ერთი კარგი შანსი გაუნიავდა: 88-ე წუთი იყო, ქრისტეფორე შატაკიშვილი პირისპირ დარჩა დიდიე ოვონოსთან, გაბონელმა მეკარემ ფეხით აული დარტყმული, რომელიც ისევ შატაკიშვილს მოხვდა და კარისკენ წავიდა, მასპინძელთა ჩეხმა რომან დობეშმა ბოლო წამს მიუსწრო და გამოიტანა ბურთი, რომელსაც ისევ შატაკიშვილი დაუხვდა და ააცილა.

წინ კი პირველი წრის ბოლო ტური და უმთავრესი მატჩია, სადაც შემოდგომის (უფრო სწორად, ზამთრის) ჩემპიონი გამოვლინდება — „დინამო“ „ზესტაფონს“ მასპინძლობს.

მესხეთა. 1 დეკემბერი. 14 საათი. არმაზი. 50 მაყურებელი

### ვიტ ჯორჯია 3:0 მესხეთი

1:0 გ. დათუნაიშვილი (40), 2:0 გელაშვილი (68), 3:0 ლუქაშვილი (86)

*რაზმაძემ ვერ გაიტანა პენალტი (37, ააცილა), გელაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (53, მეკარე)*

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი (ბეჟვაია 46), კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, გელაშვილი (ლიპარტია 79), სახოკია (ლუქაშვილი 70)
სათადარიგონი: ლურბელეიშვილი; ადამაძე, კაიშაური, ინჯგია
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**მესხეთი:** სომხიშვილი, ვ. აკოფიანი (სუდაძე 67), ლეკიშვილი, ძამსაშვილი, გ. თურმანიძე, ზ. ჩხეტიანი, აფრიამაშვილი (კევლიშვილი 67), მ. თაყაძე, გვირჯიშვილი, ინასარიძე, მ. ლონდაძე (მ. აკოფიანი 79)
სათადარიგონი: ძამუნაშვილი, კობესაშვილი, ქოჩორაშვილი, ა. მეტრეველი
**მწვრთნელი:** კობა თედიაშვილი

**გაფრთხილება:** ლეკიშვილი (24), გ. დათუნაიშვილი (29), ჩხეტიანი (32), რაზმაძე (45), ლომაია (71)

**გაძევება:** თაყაძე (29)

**მსაჯები:** მ. ურუშაძე; ზ. მენთეშაშვილი, გ. ყრუაშვილი; ლ. ხილაგავა

# უპენალტო 3:0 ვიტ ჯორჯიას 11 დაეთარსა

**ნუკრი ლოლაძე** მცხეთიდან

**ფავორიტი,** რა თქმა უნდა, „ვიტ ჯორჯია“ იყო და უპირატესობასაც თავიდანვე დაეუფლა.

სტუმრებისგან გიორგი სომხიშვილი გამოირჩეოდა — რომ არა მისი კარგი თამაში, ანგარიში გაცილებით დიდი იქნებოდა.

გატანის შანსი პირველად დავით ლომაიას მიეცა, მაგრამ „მესხეთის“ კარის დარაჯმა საიმედოდ ითამაშა. შემდეგ გიორგი მელქაძის დარტყმული ბურთი გაძვრა ცოცხალ კედელში, თუმც ისევ სომხიშვილმა იყოჩაღა.

29-ე წუთზე ახალციხელები კაცნაკლულნი დარჩნენ — მიხეილ თაყაძე მსაჯმა სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის გააძევა, თუმც ფეხბურთელი ამტკიცებდა, არ შემიგინებიაო.

37-ე წუთზე გიორგი დათუნაიშვილი ახალციხელთა საჯარიმოში შეიჭრა. მას მცველი შეეხო, ვიტელიც უმალ დაეცა და, ყველას გასაკვირად, არბიტრმა მამუკა ურუშაძემ ხელი პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა — ლუკა რაზმაძემ ბურთი კარს ვერ დაუმიზნა.

სამ წუთში ნესტორ მუმლაძის გუნდმა გასატანი მაინც გაიტანა. ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს მასპინძლებმა — ზაზა სახოკიამ კარგად მოძებნა გიორგი დათუნაიშვილი, რომელსაც ზუსტად დარტყმა აღარ გასჭირვებია, სიხარულის გამოხატვა კი მთლად ტაქტიანი ვერ გამოუვიდა დათუნაიშვილს, თუმცა მსაჯს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია...

სტუმრები კონტრშეტევაზე თამაშს კი ცდილობდნენ, მაგრამ სახეიროს ვერაფერს მიაღწიეს. ვიტელებმა კი კიდევ ერთი პენალტის უფლება მოიპოვეს — საჯარიმოში ზურაბ ძამსაშვილმა ხელით ითამაშა.

ამჯერად ნიკა გელაშვილმა ითავა თერთმეტმეტრიანის დარტყმა, თუმც მას გიორგი სომხიშვილმა აუღო.

უგოლოდ მაინც არ დარჩენილა გელაშვილი, გიორგი მელქაძისგან მიიღო ბურთი და მეკარეს თავზე გადაავლო — 2:0.

მატჩის მიწურულს კი შეცვლაზე შესულმა ვასილ ლუქაშვილმაც გაიტანა...


ვიტელთა შტატიან პენალტისტ ლუკა რაზმაძეს მიზანმა უმტყუნა



# წაჰყვება ჩასემი რუსთავს რუსეთში?

**ბოლნისის** „სიონის“ კამერუნელ ლეგიონერ ერიკ რომეო ჩასემს რუსთავის „ოლიმპი“ ეპატიჟება. ეს ინფორმაცია დაუდასტურებელია, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, მოლაპარაკებები მალე დაიწყება და, შესაძლოა, ჩასემმა ზამთარში, „თანამეგობრობის თასზე“ მოირგოს „ოლიმპის“ მაისურა.

ჩასემი ერთ-ერთი გამორჩეული თავდამსხმელია ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში და მისი გადაბირება რამდენიმე კლუბს ადრეც სურდა, თუმცა, როგორც ამბობენ, სადღეისოდ, ტრანსფერთან ყველაზე ახლოს სწორედ „ოლიმპია“.

**კახა შალამბერიძე**

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა — I წრე. 13 ტური

## ორი ბოლნისური გოლი

ბადრი კოპალეიშვილის ფოტო



დავით სვანიძე მერანელებს შორის

თბილისი. 2 დეკემბერი. 14 საათი. მერანი. 50 მაყურებელი

### მერანი 1:1 სიონი

0:1 ჩასემი (39), 1:1 ოქროპირიძე (47ს.კ.)

*ლოლაძემ ვერ გაიტანა პენალტი (78, ააცილა)*

**მერანი:** თევდორაძე, სარალიძე, თ. კობიაშვილი (ზ. ავალიანი 60), დ. გიგაური, ლოლაძე, ჯანგიძე, კობერიძე, ტყემელაშვილი, ლომაშვილი (ა. კალაძე 46), ბ. ჟღენტი, იაგო დეისაძე (იაკობ დეისაძე 56)
*სათადარიგონი:* სეფიაშვილი, ვ. გოჩაშვილი, ფურთუხია
**მწვრთნელი:** დავით ეჯიბიშვილი

**სიონი:** ბობღიაშვილი, ქურასბედიანი (რაქვიაშვილი 46), სვანიძე, ფრიდოლინი, ლ. ვაშაკიძე, კვიტაიშვილი, ლ. ბაჯელიძე, ოქროპირიძე (ქარდავა 63), ნ. ნადირაძე, სანიკიძე, ჩასემი (ზ. ქუთათელაძე 76)
*სათადარიგონი:* გ. იაშვილი, ქუცურუა, ევოჩე, მენთეშაშვილი
**მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე

**გაფრთხილება:** სვანიძე (78)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე, ს. სპიცინი; ვ. გუმბერიძე

**ნუკრი ლოლაძე**

**პირველი** 20 წუთი უღიმღამო თამაშში გაილია, შემდეგ კი მიხეილ კობერიძის სახიფათო დარტყმული ასცდა კარს. იგივე ბედი ეწია ერიკ რომეო ჩასემის მცდელობასაც. მალევე იაგო დეისაძესაც შეექმნა რეალური შანსი, თუმცა ქარს გაატანა, 39-ე წუთზე კი ბოლნისელები დაწინაურდნენ — გამოცდილი თენგიზ კობიაშვილი საკუთარ საჯარიმოში უხეშად შეცდა, ჩასემმაც ნაჩუქარი შეირგო და ბურთი აუღელვებლად გადაუგდო თავზე ახალგაზრდული ნაკრების მეკარე რევაზ თევდორაძეს, რომელმაც, როგორც იქნა, თავისი კლუბის მაისურა ჩაიცვა.

მეორე ნახევარი ახალდაწყებული იყო, როცა „მერანმა“ ანგარიში გაათანაბრა. მარცხენა ფრთიდან ბექა ჟღენტმა ჩააწოდა, ყველაზე მაღლა ბოლნისელი გიორგი ოქროპირიძე ახტა და... საკუთარ კარში ისეთი თავური დაარტყა, ათი ბობღიაშვილი ვერ აიღებდა.

„სიონს“ მალევე შეეძლო კიდევ ერთხელ წინ გასვლა. დავით სვანიძემ შორიდან დაარტყა ჯარიმა და „მერანი“ ხარიხამ იხსნა.

როგორც ჩანს, კობიაშვილი ვერ იყო თამაშის იმტაზე და მორიგი უხეში შეცდომა დაუშვა, თუმც ამჯერად ჩასემს თევდორაძემ არ გაატანინა.

ამის შემდეგ უპირატესობას დავით ეჯიბიშვილის გუნდი დაეუფლა და მოგებასთანაც ძალიან ახლოს იყო.

მარცხენა ფრთაზე იაქტიურა იაკობ დეისაძემ, საჯარიმოში შეაგდო ბურთი, ბოლნისელებმა მოიგერიეს, თუმც ბექა ჟღენტმა მოიხელთა და კარისკენ დაარტყა — სვანიძემ ნახტომში ხელით ითამაშა და, ცხადია, დაინიშნა პენალტი, რომელიც გიორგი ლოლაძემ უხეიროდ დაარტყა...

გორი. 1 დეკემბერი. 14 საათი. ქართლი. 50 მაყურებელი

### სპარტაკი 0:2 ოლიმპი

0:1 ორბელაძე (44), 0:2 ჯიქია (67)

**სპარტაკი:** ქვილითაია, ბახტურიძე, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, კ. ავალიანი, მამუკაშვილი, ჩირიკაშვილი, თარხნიშვილი (ივანაშვილი 85), ჯანელიძე, გოგოხია (დარბაიძე 62), ძარია (კუპრეიშვილი 78)
*სათადარიგონი:* კოდალაევი, თექთუმანიძე, ტატაევი, დათუნაშვილი
**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**ოლიმპი:** მერლანი, ორბელაძე, აკუასაგა, ნავალოვსკი (კოშკაძე 72), დევდარიანი (მგელაძე 85), მახვილაძე, რ. ჯიქია, კახელიშვილი, სილაგაძე, დვალიშვილი (ქებაძე 71), გეწაძე
*სათადარიგონი:* მ. ალავიძე, გ. ჩივაძე, მოდებაძე, ყრუაშვილი
**მწვრთნელი:** ანატოლი პისკოვეცი

**გაფრთხილება:** მამუკაშვილი (89)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; მ. ელიკაშვილი, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი

## გაუმართლა და გაამართლა

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

**ჩემპიონისა** და დებიუტანტის შეხვედრაში გამარჯვებას „ოლიმპს“ უწინასწარმეტყველებდნენ და ასეც მოხდა.

„ოლიმპმა“ მოიგო, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „სპარტაკმა“ დიდი წინააღმდეგობა გაუწია რუსთაველებს.

მატჩის პირველი ნახევარი უინტერესო გამოდგა, რადგან დიდი იყო ტექნიკური წუნი და ამიტომ სახიფათო მომენტები იშვიათად იქმნებოდა. თამაში, ძირითადად, ცენტრში მიდიოდა.

კარში პირველი დარტყმა სპარტაკელმა ირაკლი ჩირიკაშვილმა განახორციელა — დაახლოებით 35 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ მირზა მერლანი დახვდა ბურთს.

თითქოს პირველი ნახევარი უგოლოდ უნდა დასრულებულიყო და... ანგარიში გაიხსნა. 44-ე წუთზე რევაზ გეწაძემ მარჯვენა ფრთიდან ჩააწოდა კუთხური, შეტევაში ჩართულმა სერგო ორბელაძემ „სპარტაკის“ მცველებს დაასწრო და ზუსტი თავურით ბურთი ბადეში გაახვია — 0:1.

მეორე ტაიმში მატჩის ხასიათი შეიცვალა — „ოლიმპმა“ სივრცე შეგნებულად დაუთმო მეტოქეს და კონტრშეტევებზე გააკეთა აქცენტი, რითაც „სპარტაკს“ საშუალება მიეცა, შეტევებში უფრო ეაქტიურა.

მე-60 წუთზე დავით ჯანელიძეს შეექმნა მომენტი, მაგრამ ოდნავ დააგვიანა და...

იქვე ჩირიკაშვილმა ძლიერად გაისროლა, მაგრამ კვლავ უშედეგოდ.

„ოლიმპს“ ტაქტიკამ გაუმართლა: 67-ე წუთზე გიორგი კახელიშვილის ფლანგური გარღვევისა და საჯარიმოში ჩაწოდების შემდეგ, ვლადიმერ დვალიშვილი მცველთან ორთაბრძოლაში ვერ შესწვდა ბურთს, რომელსაც გიორგი ნავალოვსკიმ მიუსწრო, ზუსტად გადააწოდა უმეთვალყურეოდ დარჩენილ რევაზ ჯიქიას და 0:2.

„ოლიმპს“ მესამე გოლის გატანაც შეეძლო, როდესაც 85-ე წუთზე გეწაძის მორიგი კუთხურისას ლევან სილაგაძის თავური გაჭირვებით მოიგერია მაქსიმე ქვილითაიამ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 12 | 11 | 1 | 0 | 26:4 | 34 |
| დინამო | 12 | 11 | 0 | 1 | 33:4 | 33 |
| ვიტ ჯორჯია | 12 | 9 | 1 | 2 | 22:8 | 28 |
| ბორჯომი | 12 | 7 | 3 | 2 | 17:9 | 24 |
| ოლიმპი | 12 | 7 | 2 | 3 | 13:8 | 23 |
| ამერი | 12 | 7 | 0 | 5 | 21:13 | 21 |
| მესხეთი | 12 | 5 | 2 | 5 | 13:16 | 17 |
| მგლები | 12 | 5 | 0 | 7 | 13:16 | 15 |
| სიონი | 12 | 3 | 3 | 6 | 13:16 | 12 |
| ლოკომოტივი | 12 | 3 | 0 | 9 | 8:19 | 9 |
| სპარტაკი | 12 | 2 | 3 | 7 | 3:14 | 9 |
| მერანი | 12 | 2 | 1 | 9 | 6:23 | 7 |
| დილა | 12 | 1 | 3 | 8 | 7:23 | 6 |
| ბათუმი | 12 | 1 | 1 | 10 | 4:26 | 4 |

## პოლიტიკა სტადიონზე ტელევიზორით მივიდა

ბათუმი. 1 დეკემბერი. 14 საათი. ადელი. 100 მაყურებელი

### ბათუმი 1:0 ლოკომოტივი

1:0 ბაციკაძე (90)

**ბათუმი:** თოთლაძე (მამინაშვილი 49), ვ. კუნჭულია, გალოგრე, თედორაძე, მაკარიანი, ოქრუაშვილი, ცანავა (ბაციკაძე 46), კ. მახარაძე, დარჩიძე, ბეჟანიძე (დემურაძე 46), კაკალაძე
*სათადარიგონი:* ლ. მახარაძე, ა. ბაჯელიძე, ტუღუში
**მწვრთნელი:** ავთანდილ კუნჭულია

**ლოკომოტივი:** გვარამაძე, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი (გ. კვახაძე 82), ხოხონიშვილი, მ. ჟღენტი, მალიჩავა, ბარბაქაძე (ბობოხიძე 46), გულორდავა, სამხარაძე, იმედაძე (დ. ჩაგელიშვილი 62)
*სათადარიგონი:* მიგინეიშვილი, ლალაძე, ქუხილავა, მიქაძე
**მწვრთნელი:** გიორგი კიკნაძე

**გაფრთხილება:** გუშარაშვილი (19), გალოგრე (20), ოქრუაშვილი (49), ხოხონიშვილი (60), ბაციკაძე (90), ხოხონიშვილი (90)

**გაძევება:** ხოხონიშვილი (90)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია; გ. ჩიგოგიძე, ი. მაჩიტაძე; ჯ. ბუიშვილი

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

**ჯერ** იმას გეტყვით, რომ პოლიტიკური პარტიები აქტიურობას და საარჩევნო აგიტაციას საფეხბურთო მატჩებზეც ახერხებენ — ბადრი პატარკაციშვილის თანაპარტიელები ბათუმელთაგან პირველი გოლის გამტანს პრიზს დაჰპირდნენ და ნამატჩევს ბაციკაძეს ტელევიზორი გადასცეს.

სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილი „ბათუმისთვის“ კი ყველაზე დიდი პრიზი მოგება იქნებოდა და მატჩიც აქტიურად დაიწყო. პირველი სახიფათო იერიშიც ბათუმელებმა განახორციელეს — ოქრუაშვილის დარტყმული ოდნავ ასცდა გვარამაძის კარს.

მალევე კახა მახარაძემ შეუტია „ლოკომოტივს“, კართან ახლოს მისვლა რომ ვერ მოახერხა, შორიდან ამოსცხო — გვარამაძე დარტყმულს ნახტომში დაეუფლა.

„ბათუმმა“ სწრაფი გოლის გატანა ვერ მოახერხა...

მე-40 წუთამდე გუნდები გარდამავალი უპირატესობით თამაშობდნენ. ხან ბათუმელთა კართან იძაბებოდა სიტუაცია, ხან თბილისელთა, მაგრამ ხეირიანად ვერც ერთი ფეხბურთელი ურტყამდა კარში.

ტაიმის ბოლოს ბათუმელებს მიეცათ გოლის გატანის რეალური შანსი, მარცხენა ფლანგიდან მიხეილ კაკალაძემ გამჭოლი გადაცემა გააკეთა მეტოქის საჯარიმოში, იქ კი ვიტალი დარჩიძემ ბურთს ფეხი ვერ მიარტყა.

მორიგი შეტევა და გოლის გატანის შანსი „ლოკომოტივს“ ჰქონდა — ოქრუაშვილმა საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი უხეიროდ მოიგერია, ბარბაქაძემ კი ბურთის დამორჩილებას საჭიროზე მეტი დრო მოანდომა, ამასობაში ირაკლი თოთლაძე გამოვარდა კარიდან და დარტყმულს მკერდით გადაეფარა.

მეორე ტაიმში ავთანდილ კუნჭულიამ ახალგაზრდა ბაციკაძე შეუშვა და ეს ცვლილება „ბათუმისთვის“ იღბლიანი აღმოჩნდა.

89-ე წუთზე ლერი ხოხონიშვილმა ბურთი მეკარეს დაუბრუნა, მაგრამ ბაციკაძემ ჩაჭრა, მეკარესთან პირისპირ დარჩა და... კარს დიდი მანძილით ააცილა.

ბაციკაძემ გოლის გატანა მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე მაინც შეძლო — დარჩიძის პასით ბურთი თბილისელთა კარის ცხრიანში გაახვია.

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
პირველი ლიგა — გადადებული ტური

### აღმოსავლეთი

**ოლიმპი 2 1:0 ვიტ ჯორჯია 2**
**ნ. დინ-მერანი 2 1:6 გაგრა**
**კახეთი 4:1 ოლიმპიკი**
**ჩიხურა 1:2 დინამო 2**
3 დეკემბერი
**მეშაქრე — ამერი 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 15 | 10 | 4 | 1 | 37:23 | 34 |
| დინამო 2 | 15 | 8 | 4 | 3 | 24:14 | 28 |
| მეშაქრე | 14 | 8 | 2 | 4 | 24:16 | 26 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 15 | 7 | 4 | 4 | 23:13 | 25 |
| ჩიხურა | 15 | 7 | 3 | 5 | 28:23 | 24 |
| ოლიმპი 2 | 15 | 6 | 3 | 6 | 18:15 | 21 |
| კახეთი | 15 | 5 | 3 | 7 | 24:25 | 18 |
| ამერი 2 | 14 | 5 | 2 | 7 | 24:26 | 17 |
| ოლიმპიკი | 15 | 3 | 3 | 9 | 19:29 | 12 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 15 | 0 | 2 | 13 | 14:46 | 2 |

### დასავლეთი

**ხობი 1:1 ტორპედო**
**მაღაროელი 2:1 მარტვილი**
4 დეკემბერი
**მეშახტე — ფაზისი**
5 დეკემბერი
**უნივერსიტეტი — კოლხეთი**
8 დეკემბერი
**ზესტაფონი 2 — სამტრედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 15 | 13 | 2 | 0 | 35:10 | 41 |
| მარტვილი | 15 | 8 | 3 | 4 | 21:12 | 27 |
| ტორპედო | 14 | 7 | 4 | 3 | 25:16 | 25 |
| მეშახტე | 14 | 8 | 0 | 6 | 25:24 | 24 |
| ზესტაფონი 2 | 12 | 6 | 2 | 4 | 19:10 | 20 |
| ხობი | 15 | 4 | 5 | 6 | 18:21 | 17 |
| კოლხეთი | 13 | 4 | 4 | 5 | 15:17 | 16 |
| უნივერსიტეტი | 14 | 4 | 2 | 8 | 11:16 | 14 |
| ფაზისი | 14 | 2 | 2 | 10 | 16:35 | 8 |
| სამტრედია | 14 | 1 | 2 | 11 | 11:35 | 5 |

# საქართველოს ჩემპიონატი
## VII ტური. 2 დეკემბერი. სპორტის სასახლე

**მაკაბი 82:90 ავიამშენი**
*28:21 18:19 20:15 16:35*

მაკაბი: დ. ბერიშვილი, ი. ბერიშვილი (24), სორდია (11), ს. შერმადინი (9), გ. შერმადინი (30); კოლუაშვილი (6), პირველაშვილი (2), კორკოტაძე
ავიამშენი: მარხვაშვილი (8), ბ. ბერიშვილი (13), მ. ბერიშვილი (27), ბეტანიშვილი (3), ბერძენიშვილი (10); მარკოიშვილი (27), გვიმრაძე (2), წიწნივაძე, გასიტაშვილი, ნ. ნოზაძე
*მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა*
*კომისარი: როლანდ ხომერიკი*

**თსუ 73:77 ენერჯი-ინვესტი**
*14:19 26:17 11:24 22:17*

თსუ: არწივიძე (3), ჩიტაშვილი (21), ფანჩულიძე (17), ტყეშელაშვილი (11), მათიაშვილი (5); ყველაშვილი (11), კოხრეიძე (5), ელანიძე
ენერჯი-ინვესტი: გამყრელიძე (19), ბოსია (7), ლეჟავა (4), ტუჯანი (4), ბაბიაშვილი (24); ჭოჭუა (11), დიდია (6), ცეკვავა (2), გოგობერიშვილი
*მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მალხაზ ანდღულაძე*
*კომისარი: თენგიზ ქიქოძე*

**დინამო 87:89 ავიამშენი**
*16:24 17:15 16:24 38:26*

დინამო: გულისაბედაშვილი (21), ნანიდაშვილი (6), ჟლენტი (6), ლაფანაშვილი (12), სიგუა (6), მაისურაძე (19), ათანელაშვილი (3), ახალკაცი (14)
ავიამშენი: შანიძე (3), ნიკოლაძე (28), კვიმსაძე (7), ტულუში (25), იმნაძე (8), ნინიაშვილი (4), სუხიშვილი (5), მინაშვილი (9), ბარბაქაძე
*მსაჯები: დავით ბერეკაშვილი*
*კომისარი: თენგიზ ქიქოძე*

# მაკაბი უშერმადინოდ დაიქ-ვითა



ზვიად ბაბიაშვილმა მეტოქეები ფარქვეშ არ შეუშვა

გურამ მურადიანიშვილის ფოტო

**გუშინდელი** ტურის ცენტრალური მატჩი თვალსასეირო გამოდგა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მოქმედ ჩემპიონსა და ახლაც პირველობისკენ მლტოველ „ენერჯი-ინვესტს", თუმცა საბოლოოდ მაინც დამარცხდა.

რუსთაველებს აკლდათ კოჭმტკივანი იოვან სტეფანოვი, რამაც მათ გარკვეული პრობლემები შეუქმნა. ლევან ტყეშელაშვილის, რიჩარდ მათიაშვილისა და გიორგი ყველაშვილის შეუპოვრობით თსუ ფარზე გამაგრდა, რამაც ქვემო ქართლელები აიძულა, მოშორებული მანძილიდან, ანაც სწრაფი გარღვევებით შეეტიათ სტუდენტებისთვის.

ამაში რუსთაველებს ლაშა გამყრელიძე დაეხმარათ, რომელმაც შურდულგარღვევებით სტუდენტებს საქმე გაურთულა და როცა მას თანაგუნდელებიც აჰყვნენ, „ენერჯი-ინვესტმა" გამარჯვებას მიაღწია.

სტუდენტებს ბოლო წუთებზე ჰქონდათ გამარჯვების შანსი, მაგრამ ტყეშელაშვილმა და ჩიტაიშვილმა საკვანძო ბურთები ააცილეს და რუსთაველები კვლავ დაუმარცხებლები არიან.

„მაკაბი" — „ვითაც" საინტერესო გამოვიდა, ოღონდ მატჩის მხოლოდ ის მონაკვეთი, როცა გიორგი შერმადინი მოედანზე იყო. „მაკაბი" რომ ერთი კაცის გუნდია, ეს ერთხელაც დადასტურდა. სანამ შერმადინი თამაშში იყო, ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდი გაცილებით ამბიციურ „ვითას" არაფერს უთმობდა კი არა, ნიადაგ მდევრად ამყოფებდა, თუმცა გადამწყვეტ მეოთხედში მაკაბელთა გოლიათმა ცენტრმა მე-5 პერსონალური მიიღო და... შერმადინის მოედნიდან გავარდნის შემდეგი 3 წუთი „მაკაბიმ" 3:23 წააგო და მოახლოებული მორიგი სენსაცია აღარ შედგა.

**ირაკლი ბერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

30 ნოემბერი

**ატლანტა 86:92 ნიუ ორლეანი**
ატლანტა: ა. ჯონსონი (4), ჯ. ჯონსონი (17), მ. უილიამსი (18), სმიტი (16), პორფორდი (9 ქულა, 15 მოხსნა); ჩილდრესი (8), ლუ (8), ზაზა ფაჩულია (20 წუთი, 6 ქულა, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა), შ. უილიამსი, ვესტი
ნიუ ორლეანი: პოლი (20), პიტერსონი (12), სტოიაკოვიჩი (4), ვესტი (22 ქულა, 17 მოხსნა), ჩანდლერი (6); პარგო (13), ბატლერი (5), არმსტრონგი (4), ჯექსონი (2), რაიტი

**ტორონტო 91:82 კლივლენდი**
ტორონტო: ბარნანი (26), დელფინო (24), კალდერონი (11 ქულა, 10 პასი)
კლივლენდი: გიბსონი (24), გუდენი (15 ქულა, 14 მოხსნა), პავლოვიჩი (15)

**ფილადელფია 85:84 ვაშინგტონი**
ფილადელფია: დალმბერტი (19 ქულა, 11 მოხსნა), მილერი (18)
ვაშინგტონი: ბატლერი (20), ჯემისონი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**ნიუ იორკი 91:88 მილუოკი**
ნიუ იორკი: კროუფორდი (25), რენდოლფი (25), მარბერი (13)
მილუოკი: რედი (27), მეისონი (15)

**მაიამი 85:95 ბოსტონი**
მაიამი: უილიამსი (22), ჰასლემი (18 ქულა, 10 მოხსნა), ონილი (13 ქულა, 11 მოხსნა
ბოსტონი: პირსი (27), გარნეტი (23 ქულა, 9 მოხსნა), ალენი (17)

**მინესოტა 91:106 სან ანტონიო**
მინესოტა: ჯეფერსონი (23 ქულა, 11 მოხსნა), ტელფაირი (17), გომესი (14)
სან ანტონიო: ჯინობილი (31), დანკანი (20 ქულა, 14 მოხსნა), პარკერი (17)

**დალასი 91:80 პორტლენდი**
დალასი: ჰოვარდი (23 ქულა, 14 მოხსნა) ტერი (17)
პორტლენდი: ოლდრიჯი (22 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება)

**ფინიქსი 110:106 ორლანდო**
ფინიქსი: ბელი (20), სტუდემაიერი (19 ქულა 10 მოხსნა), მერიონი (17), ბარბოსა (7), ნეში (15 ქულა, 14 პასი, 6 მოხსნა), ჰილი (15)
ორლანდო: ჰოვარდი (30 ქულა, 23 მოხსნა), თურქოლლუ (25), ლუისი (18)

**სიეტლი 95:93 ინდიანა**
სიეტლი: დურანტი (35), უილკინსი (12)
ინდიანა: გრეინჯერი (21), დანლივი (14), ონილი (12 ქულა, 10 მოხსნა)

**იუტა 120:96 ლეიკერსი**
იუტა: უილიამსი (35), კირილენკო (20 ქულა, 11 მოხსნა, 11 პასი, 6 ჩაჭრა, 4 დაფარება), მილსაპი (20)
ლეიკერსი: ბრაიანტი (28), ფარმარი (21)

**დენვერი 123:107 კლიპერსი**
დენვერი: აივერსონი (26), ენტონი (24), სმიტი (22)
კლიპერსი: მაგეტი (26), კამანი (16)

1 დეკემბერი

**ტორონტო 101:97 ვაშინგტონი**
ტორონტო: კაპონო (23), პარკერი (18), მუნი (16 ქულა, 13 მოხსნა)
ვაშინგტონი: ბატლერი (29), ჯემისონი (28 ქულა, 14 მოხსნა), მეისონი (15)

**ნიუ ჯერსი 94:92 ფილადელფია**
ძირითადი დრო 83:83
ნიუ ჯერსი: კარტერი (24), ჯეფერსონი (23), კიდი (19), რაიტი (15)
ფილადელფია: იგუდალა (24), მილერი (14), კორვერი (14)

**მემფისი 109:80 მინესოტა**
მემფისი: გაი (21), მილერი (18 ქულა, 14 მოხსნა), სვიფტი (16 ქულა, 10 მოხსნა)
მინესოტა: მაკკანტსი (18), ტელფაირი (16), უოლკერი (13)

**ნიუ ორლეანი 112:108 დალასი**
ძირითადი დრო 102:102
ნიუ ორლეანი: პოლი (33 ქულა, 12 პასი, 9 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (22), ჩანდლერი (21 ქულა, 13 მოხსნა), ვესტი (11 ქულა, 14 მოხსნა)
დალასი: ჰოვარდი (19), ტერი (19), სტეკჰაუსი (18)

**მილუოკი 91:117 დეტროიტი**
მილუოკი: ვილანუევა (13), საიმონსი (13)
დეტროიტი: პრინსი (20), ბილაფსი (18 ქულა, 9 პასი), მიურეი (16), ვოლესი (15 ქულა, 10 მოხსნა)

**ჩიკაგო 111:95 შარლოტი**
ჩიკაგო: გორდონი (34), დენგი (29), ნოჩიონი (17), ვოლესი (10 ქულა, 19 მოხსნა, 5 ჩაჭრა, 4 დაფარება)
შარლოტი: რიჩარდსონი (22), ოკაფორი (21), ვოლესი (17)

**საკრამენტო 107:99 ჰიუსტონი**
საკრამენტო: მარტინი (26), არტესტი (26), უდრიჰი (15)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (40), მინი (29 ქულა, 11 მოხსნა)



# NHL რეგულარული ჩემპიონატი

30 ნოემბერი

**ნიუ ჯერსი 4:0 მონრეალი**
*1:0 1:0 2:0*
1:0 პარიზე (20), 2:0 პარიზე (34), 3:0 პარიზე (47), 4:0 ჟიონტა (48)

**კაროლინა 4:3 ვაშინგტონი**
*1:1 2:0 1:2*
0:1 ოვეჩკინი (3), 1:1 სტილმანი (10), 2:1 კალენი (26), 3:1 ბრინდამორი (35), 3:2 ოვეჩკინი (41), 4:2 ბრინდამორი (44), 4:3 ნიულანდერი (56)

**პიტსბურგი 4:1 დალასი**
*2:0 1:1 1:0*
1:0 კროსბი (1), 2:0 კენედი (4), 2:1 რიბეირო (26), 3:1 კროსბი (29), 4:1 მალკინი (55)

**მინესოტა 3:2 სენტ ლუისი**
*1:0 1:2 0:0 1:0 (ოვერტაიმში)*
1:0 ბარნსი (11), 2:0 როლსტონი (21), 2:1 სტემპნიაკი (26), 2:2 ბოისი (32), 3:2 გაბორიკი (63)

**ჩიკაგო 6:1 ფინიქსი**
*5:0 1:0 0:1*
1:0 რუუტუ (2), 2:0 ტეივსი (4), 3:0 ბაიფულენი (6), 4:0 ბაიფულენი (11), 5:0 ბაიფულენი (11), 6:0 რუუტუ (29), 6:1 მიულერი (53)

**ედმონტონი 5:1 ანაჰაიმი**
*1:1 2:0 2:0*
1:0 პემსკი (3), 1:1 გეცლაფი (8), 2:1 პორკოფი (40), 3:1 ბროდძიაკი (40), 4:1 კოლიანო (42), 5:1 სტეიონსი (47)

**სან ხოსე 3:2 კოლორადო**
*1:0 2:2 0:0*
1:0 ტორნტონი (2), 2:0 ტორნტონი (25), 2:1 ჰეიდუკი (37), 3:1 გრირი (39), 3:2 ბრიუნე (40)

1 დეკემბერი

**ოტავა 2:5 რეინჯერსი**
*0:3 1:1 1:1*
0:1 ჟირარდი (4), 0:2 შენაჰენი (8), 0:3 იაგრი (12), 0:4 შენაჰენი (30), 1:4 კორვო (35), 2:4 ჰიტლი (55), 2:5 ბეტსი (60)

**ფლორიდა 1:2 ვაშინგტონი**
*0:1 0:0 1:1*
0:1 პოტიე (4), 1:1 მეზი (43), 1:2 ოვეჩკინი (45)

**ბუფალო 8:1 კაროლინა**
*2:0 2:0 4:1*
1:0 კოტალიკი (2), 2:0 კონოლი (5), 3:0 მეირი (36), 4:0 აფინოგენოვი (37), 5:0 როი (42), 6:0 ვანეკი (47), 7:0 კოტალიკი (51), 8:0 შპაჩეკი (53), 8:1 უოტნი (59)

**დეტროიტი 3:2 ფინიქსი**
*1:0 0:2 2:0*
1:0 დაციუკი (8), 1:1 ვინიკი (26), 1:2 შოსტრომი (35), 2:2 ზეტერბერგი (41), 3:2 კლირკი (46)

**აილენდერსი 0:4 ატლანტა**
*0:4 0:0 0:*
0:1 კოვალჩუკი (1), 0:2 ბულტონი (7), 0:3 ჰოსა (8), 0:4 კოზლოვი (20)

**მონრეალი 4:5 ნეშვილი**
*2:0 1:0 1:4 0:0 (0:1 ბულიტებით)*
1:0 ჰიგინსი (10), 2:0 პლეკანეცი (14), 3:0 ლატენდრესი (30), 3:1 ორტმაიერი (49), 4:1 ლატენდრესი (51), 4:2 ლეგვანდი (53), 4:3 დე ვრიზი (57), 4:4 ბონკი (60)

**ფილადელფია 1:4 დალასი**
*1:1 0:3 0:0*
1:0 ჯონსი (1), 1:1 ჰელპერნი (16), 1:2 იოკინენი (22), 1:3 მიეტინენი (34), 1:4 რიბეირო (36)

**ტორონტო 4:2 პიტსბურგი**
*1:0 2:0 1:2*
1:0 ბელი (4), 2:0 ბლეიკი (23), 3:0 ანტროპოვი (35), 3:1 მელოუნი (49), 3:2 კრისტენსენი (58), 4:2 პონიკაროვსკი (60)

**ტამპა 4:1 ბოსტონი**
*2:0 1:1 1:0*
1:0 ლეკავალიე (6), 2:0 ლეკავალიე (16), 2:1 მიურეი (38), 3:1 დარში (40), 4:1 სენ ლუი (47)

**სენტ ლუისი 3:1 ჩიკაგო**
*1:0 2:0 0:1*
1:0 სტემპნიაკი (4), 2:0 კინგი (25), 3:0 ჯონსონი (34), 3:1 ლანგი (51)

**კალგარი 3:4 კოლუმბუსი**
*0:2 2:0 1:1 0:1 (ოვერტაიმში)*
0:1 ჟერდევი (9), 0:2 გლენკროსი (20), 1:2 ლენგკოუ (30), 2:2 იგინლა (36), 2:3 ბიჩი (45), 3:3 ოკოინი (45), 3:4 გლენკროსი (63)

**ლოს ანჯელესი 2:5 კოლორადო**
*2:1 0:1 0:3*
1:0 ივანანსი (6), 2:0 კოპიტარი (18), 2:1 შჩასტნი (19), 2:2 ჰენზიკი (32), 2:3 სმიტი (41), 2:4 სმიტი (52), 2:5 ჰილნკა (55)

## ძიუდო

# აბსოლუტური გვალვა

**ვარშავული** ევროპის აბსოლუტური ჩემპიონატი საქართველოს ნაკრებისთვის უჩვეულოდ წარუმატებლად წარიმართა. სეზონის დამაგვირგვინებელ დიდ ტურნირში ევროპის ოცმა მძიმეწონოსანმა მოიყარა თავი, თუმც ვერ ვიტყვით, რომ საუკეთესოებმა. თუნდაც შოთა ხაბარელის გუნდის დანაკლისზე ვთქვათ. პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიაგანაღდებული წონის ლიდერი ლაშა გუჯეჯიანი ნაკრების თავკაცმა თბილისში დატოვა, რადგან მომავალი ზაფხულისთვის მოსამზადებელ გეგმაში პოლონური ევროპირველობა არ შეიტანეს. ჰოდა, როცა ხუთი მძიმე ქართველი პოლონურ ტატამზე გადიოდა, გუჯეჯიანი ვერის ბაღში ქართული ჭიდაობის ფალავნობისთვის იბრძოდა. გახდა კიდეც. ვარშავაში წასული ხუთეულიდან კი ერთმაც ვერ შეძლო შინ მედლის წამოღება.

ჩვენებურების გარდა ტურნირში 7 მასპინძელი, 4 რუსი და თითოც ფრანგი, უნგრელი, ესტონელი და ბელარუსი ძიუდოისტი მონაწილეობდა. კენჭისყრამ პირველ წრეში ოთხი ქართულ-პოლონური წყვილი შეადგინა. ლევან რაზმაძე პრჟემისლავ მატიაშეკს შეხვდა, ვახტანგ ზოიძე — გრჟეგოჟ ეიტელს, ადამ ოქრუაშვილი — იანუშ ვოინაროვიჩს, ხოლო გიორგი ყიზილაშვილი — იაკუბ ტოვარეკს. ამ ოთხი ბრძოლიდან სამში პოლონელებმა იმარჯვეს. მხოლოდ ყიზილაშვილმა გააღწია მეორე წრეში და ოქროზე ფიქრიც იქ დაასრულა რუს მაქსიმ ბრიანოვთან.

ორგანიზატორთა წინასწარი განცხადებით, ევროპის ჩემპიონატი ახალი სქემით უნდა ჩატარებულიყო. ყველამ იცოდა, რომ რეპეშაჟის წესი ამჯერად არ იმოქმედებდა და ნახევარფინალში დამარცხებულები პირდაპირ ბრინჯაოს მედლებს მიიღებდნენ, მაგრამ ბოლოს ყველაფერი მაინც ძიუდოს ტრადიციული წესებით მოხდა.

ამიტომაც იყო, ყიზილაშვილსა და ზოიძეს მესამე ადგილის შანსი რომ შერჩათ. გიორგიმ რეპეშაჟი ვოინაროვიჩის ძლევით დაიწყო და ესტონელ მარტინ პადართან მარცხით დაასრულა, ხოლო ვახტანგმა უმალ წააგო, კიდევ ერთ პოლონელ პაველ სმოლენიეცთან. პადარი ვახსენეთ და აქვე ვთქვათ, რომ სწორედ ამ ესტონელმა შეაჩერა ძირითადი ბადის პირველ წრეში კიდევ ერთი ქართველი ზვიად ხანჯალიაშვილი.

ევროპის ჩემპიონი რუსი ალექსანდრ მიხაილინი გახდა. მან ფინალში ბელარუს იგორ მაკაროვს მოუგო, ბრინჯაოს მედლები კი პადარმა და მატიაშეკმა მოიპოვეს.

**ოთარ გაღლაძელიძე**

# ოქროს დუბლი

## შოთა ხაბარელმა ტიტული და მსოფლიოს თასი შეინარჩუნა

**საქართველოს** ძიუდოისტთა ნაკრების თავკაცი შოთა ხაბარელი ევროპის ძიუდოს კავშირმა ზედიზედ მეორედ აღიარა სეზონის საუკეთესო მწვრთნელად. ამ უქმეებზე ვარშავაში ჩატარებული ევროპის აბსოლუტური ჩემპიონატის პარალელურად წლის შემაჯამებელი კონგრესი ჩატარდა და ხაბარელმა 2006 წელს მოპოვებული ტიტული კიდევ ერთი წლით გაიხანგრძლივა. ძიუდოს შეფებმა ჩვენი ნაკრების თავკაცს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგები დაუფასეს. შეგახსენებთ, რომ ევროპაზე ქართველმა ძიუდოისტებმა ხუთი მედალი მოიპოვეს, ხოლო მსოფლიოზე ხუთი ლიცენზია.

შოთა ხაბარელის აღიარების შესახებ ძიუდოს ოფიციალური ვებ გვერდები ჯერ არაფერს წერენ. ინფორმაცია საქართველოს ძიუდოს ფედერაციის აღმასრულებელმა მდივანმა ზურაბ უსუფაშვილმა მოგვაწოდა, რომელსაც ნაკრების თავკაცი ვარშავიდან ტელეფონით შეეხმიანა.

უსუფაშვილისგანვე შევიტყვეთ, რომ კონგრესზე ერთ-ერთ საკითხად თბილისისთვის მსოფლიოს თასის მასპინძლობის უფლების ჩამორთმევა წამოუყენებიათ. ღაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო — უთქვამს ძიუდოს კავშირის დირექტორთა საბჭოს. ხაბარელის კატეგორიული შეწინააღმდეგების შემდეგ კი კრებულს საქართველოს მთავრობისგან უსაფრთხოების გარანტია მოუთხოვია. მსოფლიოს თასს სპორტის სასახლემ იანვრის ბოლოს უნდა უმასპინძლოს.

**ოთარ გაღლაძელიძე**

## რაგბი

# ოცი დარჩა, რვა უცნობია

**ლონდონში** რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) კონგრესზე გადაწყდა, რომ 2011 წლის მსოფლიოს თასზე გუნდების სეკვესტრი აღარ მოხდება და კვლავ 20-გუნდა ტურნირი იქნება.

შეგახსენებთ, რომ 2011 წლის მსოფლიოს თასის მასპინძელ ახალ ზელანდიას 16-გუნდა თასის გამართვა უნდოდა, რაკი შესაძლებლობები ვერ გათვალა და 20-გუნდა ტურნირის მასპინძლობას თავს ვერ აბამდა. მსოფლიოს რაგბის გამგებლებიც ამ აზრზე იყვნენ, მაგრამ საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს თასზე პატარა გუნდებმა თავი რომ გამოიდეს და ბობოლებს შავი დღე აყარეს, IRB-იმ განზრახვაზე ხელი აიღო და ფორმატი აღარ შეცვალა.

გასარკვევი დარჩა მომავალი მსოფლიოს თასი შესარჩევის ფორმატი. ახალ ზელანდიაში ადგილები უკვე დაიბევეს სამხრეთ აფრიკამ, ინგლისმა, ტონგამ, ავსტრალიამ, ფიჯიმ, უელსმა, ახალმა ზელანდიამ, შოტლანდიამ, იტალიამ, არგენტინამ, საფრანგეთმა და ირლანდიამ, რაკი საფრანგეთში დასრულებულ მსოფლიოს თასზე თავიანთ ჯგუფებში პირველი სამი ადგილი დაიკავეს. ახლა გასარკვევი დარჩა დანარჩენი რვა ფინალისტის ვინაობა. IRB-ს გეგმით, 2010 წელს გაიმართება ეგრეთ წოდებული „ჩელენჯ ტროფი“, რომელშიც 16 გუნდი ითამაშებს და რვა საუკეთესო მსოფლიოს თასზე შეავსებს დასს. ოღონდ რა ფორმატით გაიმართება, ან საერთოდ გაიმართება თუ არა ეს „ჩელენჯ ტროფი“, ნააზალწლევს გადაწყდება.

**ბაჩო სვანიძე**

## ფიგურული ციგურაობა

# თავისუფალი ვარდნა



**იაპონიაში**, იქაურ სენდაიში დასრულებულ მსოფლიო გრან პრიზე, რომელიც წლეულს ბოლო ეტაპი იყო, ქართველმა მოციგურავემ ელენე გედევანიშვილმა მე-8 ადგილი დაიკავა.

ტურნირის პირველი დღის, ანუ მოკლე პროგრამის შემდეგ 53,82 ქულით ელენე მეშვიდე ადგილზე იყო და იმედიც გვქონდა, რომ თავისუფალ პროგრამას უკეთ შეასრულებდა და წინ ორი საფეხურით მაინც წაიწევდა. ასე არ მოხდა, პირიქით, ჩვენიანის კონკურენტებმა უკეთ ისრიალეს და დაწინაურების ნაცვლად, გედევანიშვილი ერთი საფეხურით დაქვეითდა.

ელენეს „თავისუფალი“ სრიალი მსაჯებმა 82,62 ქულით შეაფასეს და ჯამში 136,54 ქულა დაუგროვდა, რაც, როგორც ვთქვით, მხოლოდ მერვეობისთვის აღმოჩნდა საკმარისი. ისიც აღვნიშნოთ, რომ ბოლო გრან პრიზე სულ თერთმეტი მოციგურავე სრიალებდა, იაპონელი მაი ასადა კი ტრავმის გამო ყინულზე აღარ გასულა.

იაპონური გრან პრი იტალიელმა კაროლინ კოსტნერმა (164,69 ქულით) მოიგო, მეორეზე შვეიცარიელი სარა მეიერი (163,17) გავიდა, მესამე ადგილი კი იაპონელმა ნანა ტაკედამ (154,83) დაიკავა.

**ბაჩო სვანიძე**

## ჭიდაობა



# ძველი გუჯეჯიანი და ახალი შიდა ქართლი

**შაბათ-კვირას** ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზიდან ზურნა-დუდუკის ხმა გამოდიოდა. ორი დღით არენაზე საჭიდაო ხალიჩა გაიშალა და ქართულ ჭიდაობაში ტრადიციული ყოველწლიური პრიზი, პრეზიდენტის თასი გათამაშდა. გუშინწინ წლის ფალავანი გამოვლინდა, ხოლო გუშინ წლის — გუნდი.

ფალავნობისთვის ბრძოლას ძიუდოისტთა აბსოლუტური ევროპირველობის გამო რამდენიმე ფავორიტი გამოაკლდა. თუმცა წაუგებლად ტურნირი მაინც ძიუდოისტმა ჩაამთავრა. შოთა ხაბარელის გუნდის მძიმეწონოსანმა ლაშა გუჯეჯიანმა ისედაც მოსავლიანი სეზონი ფალავნობით გაალამაზა. ფინალში მან დიმიტრი ტურაშვილს მოუგო. მესამე ადგილი კი იოსებ მსხალაძემ დაიკავა.

ლაშა გუჯეჯიანი გუნდურ ჩათვლაში თბილისის სახელით მოქმედი ჩემპიონი იყო და წესით გუშინ ტიტულის დასაცავად ბრძოლაშიც უნდა ჩართულიყო, მაგრამ, თურქული „ისტანბულის“ სახელით ძიუდოს საკლუბო ტურნირის ფინალი ელის და ამიტომაც გუშინ აღარ უჭიდავია.

თბილისმა კი არათუ ოქროს შენარჩუნება, საერთოდ, მედლის მოპოვებაც ვერ შეძლო. ჩემპიონები საწყის ეტაპზევე დამარცხდნენ შიდა ქართლთან. მოგვიანებით პრეზიდენტის თასი სწორედ ამ გუნდმა მოიგო და 5 ათასი ლარიც დაისაკუთრა. გივი ზაუტაშვილის და ქართლოს პავლიაშვილის გაწვრთნილმა შვიდეულმა: მიხეილ ოსაძემ (60კგ), გიორგი ბახტაძემ (65კგ), გიორგი მაისურაძემ (70კგ), ზვიად ბაზანდარაშვილმა (75კგ), იოსებ ჩილინდრიშვილმა (80კგ), პაატა ღვინიაშვილმა (90კგ) და დავით ჭაბუკაშვილმა (+90კგ) ფინალში შარშანდელ ფინალისტს, მცხეთა-მთიანეთის გუნდს აჯობეს, თან ისე, რომ მეტოქისთვის ქულაც არ დაუთმიათ. მცხეთა-მთიანეთმა 3 ათასი ლარი მიიღო, ხოლო მესამე ადგილზე გასულმა კახეთმა — 2 ათასი.

**ოთარ გაღლაძელიძე**

ჩოგბურთი

### დევისის თასი. ფინალი. პორტლენდი. აშშ. ჰარდი. ფინალი. 30 ნოემბერი — 2 დეკემბერი

# დევისის თასი ამერიკაში დაბრუნდა



**აშშ 3:0 რუსეთი**

1:0 ენდი როდიკი — დმიტრი ტურსუნოვი 6:4 6:4 6:2

2:0 ჯეიმს ბლეიკი — მიხაილ იუჟნი 6:3 7:6 6:7 7:6

3:0 ბობ ბრაიანი, მაიკ ბრაიანი — იგორ ანდრეევი, ნიკოლაი დავიდენკო 7:6 6:4 6:2

**ამერიკის** შეერთებული შტატების ნაკრები 12-წლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა სანაკრებო ჩოგბურთის ოლიმპზე მას შემდეგ, რაც დაამარცხა აწ უკვე ექსჩემპიონი რუსეთი და დევისის თასი ისტორიაში 32-ედ მოიგო.

ამერიკელთათვის ეს გამარჯვება გარკვეულწილად სიმბოლურიც არის, რადგანაც თავიანთი ბოლო სანაკრებო ტიტული მათ სწორედ რუსების წაქცევით მოიპოვეს. ეს ყველაფერი 1995 წელს მოხდა, ოღონდ 12 წლის წინ ჯახი მოსკოვში შედგა. ამჯერად კი იანკებმა საკუთარ ტერიტორიაზე იყოჩაღეს და პორტლენდის პირთამდე გადავსებული დარბაზი მაგრადაც გაახარეს.

ამერიკელთა ამ მოწვევის ნაკრებისთვის რუსთა გადაქელვა პრინციპის საქმე იყო, რადგანაც ერთი წლის წინ მათ სწორედ სლავებთან წაიბორძიკეს ნახევარფინალში. ჰოდა, იანკთა შურისძიებაც მეტად სასტიკი გამოდგა — ვარსკვლავ-ზოლიანი დროშის ქვეშ შეკრებილმა ნაკრებმა მეტოქე უბრალოდ გაანადგურა და არცთუ სუსტ რუსეთს საქმე ორ სათამაშო დღეში მოუთავა, რითაც კვირა ღამეს გასამართი მატჩები მხოლოდ ფორმალობად აქცია.

სლავთა რბევა ამერიკელთა ლიდერმა ენდი როდიკმა დაიწყო და შემდეგ თავისი სიტყვა უკვე ბლეიკმა თქვა. მართალია, მას ყველაზე მეტად გაუჭირდა, მაგრამ მიხაილ იუჟნი ოთხ სეტში გატეხა და თავის ნაკრებს უკვე პარასკევს უდიდესი ფორა მოუპოვა.

როდიკ-ბლეიკის დაწყებული საქმე მსოფლიოს უძლიერესმა წყვილმა — ტყუპმა ძმებმა ბობ და მაიკ ბრაიანებმა ღირსეულად გააგრძელა და იგორ ანდრეევ-ნიკოლაი დავიდენკოს დუეტს პატარა გაკვეთილი ჩაუტარა. შემდეგ კი... შემდეგ ამერიკელთა ზეიმი დაიწყო.

**ჩაბა ლომაშვილი**

ავტორბოლა

# თბილისის თასი იუბილარს დარჩა

**საქართველოს** ავტოსპორტის ფედერაციამ შაბათს სეზონის მორიგი შეჯიბრება — რალი „თბილისი 2007" ჩაატარა. ამ ღონისძიების მოწყობა ერთი კვირით ადრე იყო დაგეგმილი, მაგრამ უამინდობის გამო გადაიდო.

მიზეზთა გამო სტარტზე ვერ გამოვიდა ოთხი მანქანა, ამასთან, თბილისში ჩამოსვლა ვერ შეძლეს სომეხმა მრბოლელებმა. ამდენად, 260-კილომეტრიან გზას ათი ეკიპაჟი გაუდგა.

საერთო დისტანციიდან თითქმის 80 კმ ჩქაროსნულ მონაკვეთებზე მოდიოდა, კერძოდ, ტაბახმელა-კოჯორი-წყნეთისა და მამკოდა-ცხვარიჭამია-ლულელების გზებზე.

თავიდანვე არჩილ ბიძინაშვილისა და მერაბ შენგელიას „ჰონდა-სივიკი" დაწინაურდა და ფინიშამდე აღარც დაუთმია ლიდერობა. გამარჯვებულებს ოთხი წუთით ჩამორჩნენ პირველი სათასო ეტაპის მომგებები — ბესარიონ ბოჭორიშვილი და ალექსანდრე ფხაკაძე (ვაზ 21083). მესამე ადგილზე ზურაბ ალნიაშვილი და ზურაბ ბაბუციძე (ვაზ 21083) გავიდნენ.

ამრიგად, ბოლოსწინა სათასო რბოლის წინ 18 ქულით ბოჭორიშვილი ლიდერობს, მეორე ადგილზეა მხოლოდ ერთ ეტაპზე გამოსული ბიძინაშვილი (10), რომელიც სწორედ შაბათს 36 წლის შესრულდა და საკუთარ თავს მშვენიერი საჩუქარიც მიუძღვნა.

**გია ახალაძე**



არჩილ ბიძინაშვილი

მიროჩაბი ფოტო


# სარბიელი & კროკო

## წარმოგიდგენთ


| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ინგლისი. პრემიერლიგა 3 დეკემბერი | | | | | |
| 23:45 | 1 | მანჩესტერი-ფულემი | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| 23:45 | 2 | მანჩესტერი-ფულემი 0:1 | 1.50 | 3.90 | 4.10 | | | |
| | | | გერმანია. II ბუნდესლიგა 3 დეკემბერი | | | | | |
| 22:45 | 147 | ალემანია-მაინცი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | | იტალია. სერია C1/B 3 დეკემბერი | | | | | |
| 23:45 | 87 | კროტონე-გალიპოლი | 2.05 | 2.65 | 4.00 | 1.15 | 1.35 | 1.59 |
| | | | საფრანგეთი. II დივიზიონი 3 დეკემბერი | | | | | |
| 23:00 | 277 | მონპელიე-ნანტი | 2.90 | 2.80 | 2.50 | 1.42 | 1.34 | 1.32 |
| | | | პორტუგალია. სუპერლიგა 3 დეკემბერი | | | | | |
| 23:45 | 88 | გიმარაეში-აკადემიკა | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ჩეხეთი 3 დეკემბერი | | | | | |
| 20:15 | 89 | ლიბერეცი-ბრნო | 2.00 | 3.10 | 3.40 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| | | | ხორვატია 3 დეკემბერი | | | | | |
| 23:00 | 90 | დუბნიცა-ტრნავა | 2.50 | 3.00 | 2.60 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| | | | დანია სუპერლიგა 3 დეკემბერი | | | | | |
| 22:00 | 91 | ესბიერგი-ჰორსენსი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| | | | ჰოკეი შვედეთი 3 დეკემბერი | | | | | |
| 21:00 | 505 | ფეროესტადი-ლულეო | 1.45 | 4.40 | 3.50 | 1.09 | 1.02 | 1.94 |
| 21:00 | 506 | ფროლუნდა-იურგორდენი | 1.60 | 4.10 | 3.20 | 1.15 | 1.06 | 1.79 |
| 21:00 | 507 | ტიმრუ-აიკ | 1.50 | 4.30 | 3.50 | 1.11 | 1.04 | 1.92 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | მანჩესტერი-ფულემი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10088 | გიმარაეში-აკადემიკა | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10091 | ესბიერგი-ჰორსენსი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10147 | ალემანია-მაინცი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10277 | მონპელიე-ნანტი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | მანჩესტერი-ფულემი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11088 | გიმარაეში-აკადემიკა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11091 | ესბიერგი-ჰორსენსი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11147 | ალემანია-მაინცი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11277 | მონპელიე-ნანტი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | მანჩესტერი-ფულემი | 2.20 | 1.50 |
| 12088 | გიმარაეში-აკადემიკა | 1.60 | 2.00 |
| 12091 | ესბიერგი-ჰორსენსი | 2.10 | 1.50 |
| 12147 | ალემანია-მაინცი | 1.90 | 1.70 |
| 12277 | მონპელიე-ნანტი | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | მანჩესტერი-ფულემი | 1.90 | 1.70 |
| 13088 | გიმარაეში-აკადემიკა | 1.90 | 1.70 |
| 13091 | ესბიერგი-ჰორსენსი | 1.60 | 2.00 |
| 13147 | ალემანია-მაინცი | 1.60 | 2.00 |
| 13277 | მონპელიე-ნანტი | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14088 | გიმარაეში-აკადემიკა | 1.30 | 2.50 |
| 14091 | ესბიერგი-ჰორსენსი | 1.70 | 2.20 |
| 14147 | ალემანია-მაინცი | 1.80 | 2.00 |
| 14277 | მონპელიე-ნანტი | 1.95 | 1.85 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15088 | გიმარაეში-აკადემიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15091 | ესბიერგი-ჰორსენსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15147 | ალემანია-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15277 | მონპელიე-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | მანჩესტერი-ფულემი | 1.02 | 6.70 |
| 16088 | გიმარაეში-აკადემიკა | 1.22 | 3.40 |
| 16091 | ესბიერგი-ჰორსენსი | 1.38 | 2.65 |
| 16147 | ალემანია-მაინცი | 1.62 | 2.05 |
| 16277 | მონპელიე-ნანტი | 2.05 | 1.65 |

### გოლი:ლუწი-1, კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | მანჩესტერი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17088 | გიმარაეში-აკადემიკა | 1.85 | 1.95 |
| 17091 | ესბიერგი-ჰორსენსი | 1.85 | 1.95 |
| 17147 | ალემანია-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17277 | მონპელიე-ნანტი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ**

# ფრანს ფუტბოლის ვერსია: კაკა
## კაკას ვერსია: მილანი და ბრაზილია



**მოულოდნელი** არაფერი მომხდარა. ის, რაზეც ლაპარაკი კარგა ხნის წინ დაიწყო, გუშინ ოფიციალურად გაცხადდა: „მილანის" ბრაზილიელი ფეხბურთელი კაკა „ფრანს ფუტბოლის" ვერსიით 2007 წელს მსოფლიოში საუკეთესო გახდა.

შეგახსენებთ, რომ „ოქროს ბურთი", რომელიც აქამდე მთავარ ევროპულ ჯილდოდ ითვლებოდა, წელს მსოფლიო ჯილდოდ იქცა, რაკილა „ფრანს ფუტბოლმა" გეოგრაფია გააფართოვა. „ოქროს ბურთის" მფლობელი მსოფლიოს ნებისმიერ ლიგაში მოთამაშე ნებისმიერი ეროვნების ფეხბურთელი შეიძლება გახდეს, ჟიურის წევრები კი, არა მხოლოდ ევროპელები, უკვე სხვა კონტინენტელებიც არიან.

ესეც გავიხსენოთ, რომ „ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვაში მედიელები, გამომცემლები და რედაქტორები მონაწილეობენ — თითო ქვეყანას თითო გამომცემელ-რედაქტორი წარმოადგენს.

და ჩვენთვის ყველაზე სასიამოვნო და საამაყო: „ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვაში საქართველოდან „სარბიელის" გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია იღებს მონაწილეობას. ეს ამბავი 1994 წლიდან იღებს დასაბამს.

წლის ტრიუმფატორმა კი ჯილდოს მიღებისას თქვა: „ოქროს ბურთის" მოპოვების ერთადერთი გზა ის არის, რომ დიდი და მებრძოლი გუნდის ნაწილი იყო. ამიტომაც, ულრმეს მადლობას ვუხდი ჩემს თანაგუნდელებს და მწვრთნელებს „მილანშიც" და ბრაზილიის ნაკრებშიც".

**გიორგი დარჯანია**

# France football ოქროს ბურთი 2007

| ფეხბურთელი | კლუბი, ქვეყანა | ქულა |
| --- | --- | --- |
| **რიკარდო კაკა** | **მილანი, ბრაზილია** | **444** |
| კრიშტიანუ რონალდუ | მანჩესტერი, პორტუგალია | 277 |
| ლიონელ მესი | ბარსელონა, არგენტინა | 255 |
| დიდიე დროგბა | ჩელსი, კოტ დივუარი | 108 |
| ანდრეა პირლო | მილანი, იტალია | 41 |
| რუუდ ვან ნისტელროოი | რეალი, ჰოლანდია | 39 |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | ინტერი, შვედეთი | 31 |
| ფრანსესკ ფაბრეგასი | არსენალი, ესპანეთი | 27 |
| რობინიო | რეალი, ბრაზილია | 24 |
| ფრანჩესკო ტოტი | რომა, იტალია | 20 |
| ფრედერიკ კანუტი | სევილია, მალი | 19 |
| რონალდინიო | ბარსელონა, ბრაზილია | 18 |
| სტივენ ჯერარდი | ლივერპული, ინგლისი | 17 |
| ხუან რომან რიკელმე | ბოკა ხუნიორსი, არგენტინა | 15 |
| დანიელ ალვეში | სევილია, ბრაზილია | 14 |
| ფილიპო ინძაგი | მილანი, იტალია | 12 |
| ფრანკ რიბერი | ბაიერნი, საფრანგეთი | 10 |
| პაოლო მალდინი | მილანი, იტალია | 8 |
| ჯანლუიჯი ბუფონი | იუვენტუსი, იტალია | 7 |
| პეტრ ჩეხი | ჩელსი, ჩეხეთი | 7 |
| ჯენარო გატუზო | მილანი, იტალია | 7 |
| ტიერი ანრი | ბარსელონა, საფრანგეთი | 7 |
| კლარენს ზეედორფი | მილანი, ჰოლანდია | 7 |
| ფაბიო კანავარო | რეალი, იტალია | 5 |
| მიკაელ ესიენი | ჩელსი, განა | 5 |
| უეინ რუნი | მანჩესტერი, ინგლისი | 4 |
| იკერ კასილიასი | რეალი, ესპანეთი | 3 |
| როჟერიო სენი | სან პაულუ, ბრაზილია | 3 |
| იუნის მაჰმუდი | ალ-ჯარაფა, ერაყი | 2 |
| დიმიტარ ბერბატოვი | ტოტენჰემი, ბულგარეთი | 1 |
| სამუელ ეტოო | ბარსელონა, კამერუნი | 1 |
| რაიან გიგზი | მანჩესტერი, უელსი | 1 |
| გილერმო ოჩოა | ამერიკა, მექსიკა | 1 |
| კარლოს ტევესი | მანჩესტერი, არგენტინა | 1 |
| რობინ ვან პერსი | არსენალი, ჰოლანდია | 1 |

*უქულოდ დარჩნენ:*

*ერიკ აბიდალი (ბარსელონა, საფრანგეთი), დევიდ ბექემი (ლოს ანჯელეს გალაქსი, ინგლისი), დეკუ (ბარსელონა, პორტუგალია), მაჰამადუ დიარა (რეალი, მალი), დიეგო (ვერდერი, ბრაზილია), მიროსლავ კლოზე (ბაიერნი, გერმანია), ფლორენ მალუდა (ჩელსი, საფრანგეთი), შუნსუკე ნაკამურა (სელტიკი, იაპონია), რიკარდუ კვარესმა (პორტუ, პორტუგალია), რაული (რეალი, ესპანეთი), პოლ სქოულზი (მანჩესტერი, ინგლისი), ლუკა ტონი (ბაიერნი, იტალია), კოლო ტურე (არსენალი, კოტ დივუარი), ფერნანდო ტორესი (ლივერპული, ესპანეთი), დავიდ ვილია (ვალენსია, ესპანეთი)*



# ჰოჯსონის მოულოდნელი ინტერი

**ცნობილმა** ინგლისელმა მწვრთნელმა როი ჰოჯსონმა ფინეთის ნაკრები ჩინებულად ათამაშა ევრო 2008-ის შესარჩევ ეტაპზე და მის მიერ დამოძღვრილ სკანდინაველებს საკმაოდ რთული ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე გასვლამდე მცირეოდენი დააკლდათ.

ახლახან, ყველასთვის მოულოდნელად, ჰოჯსონმა გადადგომა გადაწყვიტა, თუმც 60 წლის სპეციალისტის შემდეგი ნაბიჯი კიდევ უფრო მოულოდნელია — ამიერიდან როი მილანის „ინტერის" პრეზიდენტის მასიმო მორატის მრჩეველი და უცხოელებთან ურთიერთობაში „ნერაძურის" მთავარი წარმომადგენელი იქნება.

არადა, გარდა იმისა, რომ ჰოჯსონს ფინეთის საფეხბურთო ასოციაცია დარჩენას სთხოვდა, ამ სპეციალისტის მომავალს ინგლისის, შოტლანდიის, ირლანდიისა და სხვა ქვეყნების ნაკრებებს თუ კლუბებს უკავშირებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ჰოჯსონი „ინტერს" სხვადასხვა დროს ორჯერ წვრთნიდა და მისი ყველაზე დიდი წარმატება კლუბის უეფას თასის ფინალში გაყვანაა. ვნახოთ, რა წარმატებას მოუტანს ინგლისელი „ნერაძურის" თავისთვის უჩვეულო, კონსულტანტის სტატუსით.

**კოკი კანდელაკი**

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XVII ტური

ქსამაქსი — გრასჰოპერი 4:1; სიონი — ლუცერნი 0:0; სენტ გალენი — იანგ ბოისი 2:7; თუნი — ბაზელი 0:2; ციურიხი — აარაუ 0:1

| | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ბაზელი | 17 | 12 | 3 | 2 | 38:18 | 39 |
| ციურიხი | 17 | 9 | 6 | 2 | 40:17 | 33 |
| იანგ ბოისი | 17 | 8 | 6 | 3 | 42:30 | 30 |
| აარაუ | 17 | 5 | 8 | 4 | 25:23 | 23 |
| სიონი | 17 | 6 | 4 | 7 | 22:24 | 22 |
| ქსამაქსი | 17 | 4 | 7 | 6 | 26:28 | 19 |
| გრასჰოპერი | 17 | 4 | 5 | 8 | 24:33 | 17 |
| ლუცერნი | 17 | 2 | 11 | 4 | 23:32 | 17 |
| თუნი | 17 | 3 | 5 | 9 | 15:26 | 14 |
| სენტ გალენი | 17 | 3 | 3 | 11 | 19:43 | 12 |

### ჩელენჯლიგა. XVIII ტური

კონკორდია — კრიენსი 1:1; შო დე ფონი — ვილენი 2:1; ლოკარნო — კიასო 1:5; ლუგანო — ლოზანა 0:0; შაფჰაუზენი — ივერდონი 2:2; ვილი — ბელინცონა 2:0; ვინტერთური — ჩამი 2:1; დელემონი — ვადუცი 1:4; სერვეტი — გოსაუ 2:1

## პოლონეთი

### I ლიგა. XVI ტური

ლოძი — ოდრა 0:1; რუხი — გროცლინი 1:2; კრაკოვია — ლეგია 0:2; კორონა — ბელხატუვი 2:2; პოლონია — იაგელონია 0:1; ვიძევი — ზაგლებე 1:1; სოსნოვეცი — ლეხი 0:0; გურნიკი — ვისლა 1:3

| | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ვისლა | 16 | 14 | 2 | 0 | 42:8 | 44 |
| ლეგია | 16 | 11 | 1 | 4 | 26:7 | 34 |
| კორონა | 16 | 10 | 2 | 4 | 24:21 | 32 |
| ლეხი | 16 | 9 | 3 | 4 | 30:20 | 30 |
| გროცლინი | 16 | 9 | 2 | 5 | 24:17 | 29 |
| ზაგლებე | 16 | 7 | 5 | 4 | 22:17 | 26 |
| ბელხატუვი | 16 | 6 | 6 | 4 | 17:15 | 24 |
| გურნიკი | 16 | 7 | 3 | 6 | 22:23 | 24 |
| იაგელონია | 16 | 6 | 5 | 5 | 17:22 | 23 |
| ოდრა | 16 | 4 | 4 | 8 | 14:21 | 16 |
| კრაკოვია | 16 | 5 | 1 | 10 | 11:19 | 16 |
| ვიძევი | 16 | 2 | 8 | 6 | 13:19 | 14 |
| რუხი | 16 | 3 | 5 | 8 | 17:26 | 14 |
| პოლონია | 16 | 4 | 2 | 10 | 9:25 | 14 |
| ლოძი | 16 | 1 | 5 | 10 | 7:15 | 8 |
| სოსნოვეცი | 16 | 2 | 2 | 12 | 13:33 | 8 |

## ხორვატია

### I დივიზიონი. XVIII ტური

შიბენიკი — ციბალია 2:0; ზადარი — მედიმურიე 4:0; ინტერი — ოსიეკი 1:1; რიეკა — ვარტექსი 1:1; ჰაიდუკი — სლავენი 1:0; დინამო — ზაგრები 6:3

## ბულგარეთი

### ვიშა ლიგა. XIV ტური

ბელასიცა — მარეკი 1:0; ლიტექსი — ბოტევი 6:0; პირინი — ბეროე 1:0; სპარტაკი — ჩერნო მორე 0:1; ვიდიმა-რაკოვსკი — ლოკომოტივი (პლ) 0:3; ლოკომოტივი (ს) — სლავია 1:2; ვიხრენი — ჩერნომორეცი 1:2; ლევსკი — ცსკა 0:1

## თურქეთი

### სუპერლიგა. XIV ტური

გენჩლერი — ტრაბზონი 2:1; კასიმპაშა — ბურსა 0:2; კონია — ანკარაგიუჯიუ 1:0; დენიზლი — ფენერბაჰჩე 0:1; ანკარა — სივა 2:0; კაისერი — ოფთა 1:1; მანისა — გაზიანთეფი 1:0; გალათასარაი — ბუიუქშეჰირი 2:2; ბეშიქთაში — რიზე 1:1

| | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| გალათასარაი | 14 | 9 | 5 | 0 | 27:10 | 32 |
| სივა | 14 | 10 | 1 | 3 | 23:11 | 31 |
| ფენერბაჰჩე | 14 | 8 | 4 | 2 | 23:14 | 28 |
| ბეშიქთაში | 14 | 7 | 4 | 3 | 16:12 | 25 |
| დენიზლი | 14 | 6 | 3 | 5 | 20:16 | 21 |
| კაისერი | 14 | 5 | 6 | 3 | 19:15 | 21 |
| ანკარაგიუჯიუ | 14 | 6 | 3 | 5 | 15:15 | 21 |
| ბუიუქშეჰირი | 14 | 5 | 4 | 5 | 18:16 | 19 |
| კონია | 14 | 5 | 4 | 5 | 15:22 | 19 |
| ოფთა | 14 | 5 | 3 | 6 | 15:14 | 18 |
| ბურსა | 14 | 4 | 6 | 4 | 15:14 | 18 |
| ტრაბზონი | 14 | 4 | 4 | 6 | 15:15 | 16 |
| მანისა | 14 | 4 | 4 | 6 | 18:21 | 16 |
| გაზიანთეფი | 14 | 4 | 3 | 7 | 16:19 | 15 |
| რიზე | 14 | 4 | 2 | 8 | 14:26 | 14 |
| გენჩლერი | 14 | 3 | 4 | 7 | 18:23 | 13 |
| ანკარა | 14 | 2 | 5 | 7 | 13:19 | 11 |
| კასიმპასა | 14 | 2 | 1 | 11 | 8:26 | 7 |

## უკრაინა

### ვიშა ლიგა. XVIII ტური

ტავრია — ვორსკლა 1:0; ზაკარპატია — მეტალისტი 0:1; დინამო — ჩერნომორეცი 5:2; ნაფტოვიკი — არსენალი 1:0; მეტალურგი (დ) — დნეპრო 0:3; ხარკოვი — მეტალურგი (ზ) 0:1; კრივბასი — კარპატი 0:1. ზარია — შახტარი გადაიდო

## სერბეთი

### სუპერლიგა. XIV ტური

ჩუკარიჩკი — სარტიდი 2:2; ბანატი — პარტიზანი 0:2; ნაპრედაკი — ბორაცი 0:0; ოფკ — ვოივოდინა 0:0; ცრვენა ზვეზდა — ჰაიდუკი 1:1. მლადოსტი — ბეჟანიჯა 2:1-ზე ჩაიშალა

## სლოვაკეთი

### I ლიგა. XVIII ტური

სლოვანი — კოშიცე 2:1; ტრენჩინი — რუჟომბეროკი 0:3; ჟილინა — ბანსკა ბისტრიცა 1:0; არტმედია — ნიტრა 1:0; მორავცე — სენეცი 1:0. დუბნიცა — ტრნავა დღეს გაიმართება

## კოპა სუდამერიკანა 2007

### ფინალი. I მატჩი

ამერიკა 2:3 არსენალი

## იაპონია

### ჯეი ლიგა. XXXIV ტური

ომია — კავაზაკი 1:1; ნიიგატა — ოიტა 0:2; იჩიჰარა — ნაგოია 0:2; იუატა — კაშივა 4:0; კაშიმა — შიმიცუ 3:0; ჰიროშიმა — გამბა 2:2; კოფუ — ტოკიო 0:1; კობე — იოკოჰამა 0:0; ფც იოკოჰამა — ურავა 1:0

# 2008 წლის ევროპის ჩემპიონატი. ფინალური ეტაპი. წილისყრა

## ავსტრია-შვეიცარია (7-29 ივნისი)

მაშ ასე, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალიდან მოყოლებული იტალია და საფრანგეთი ვერა და ვერ დაშორდნენ ერთმანეთს. შეგახსენებთ, რომ მუნდიალის ფინალში იტალიელებმა და ფრანგებმა 1:1 ითამაშეს, რის შემდეგაც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული იტალიამ პენალტებით მოიპოვა. ამის შემდეგ მეტოქენი ევროპის ახლანდელი ჩემპიონატის შესარჩევში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ჯერ პარიზში ფრანგებმა მოიგეს 3:1, ხოლო შემდეგ, მილანში უგოლოდ გაეყარნენ ერთმანეთს. რაც შეეხება რუმინელებს, ისინი ევრო 2008-ზე სწორედ ჰოლანდიის ჯგუფიდან გავიდნენ, თანაც პირველი ადგილით.

B ჯგუფში ამ ორი ქვეყნის ნაკრების გარდა მოხვდნენ ხორვატია და პოლონეთი. ცნობისათვის: როგორც პოლონელები, ასევე ხორვატები, ავსტრიელებისა არ იყოს, ევროპის ჩემპიონატზე პირველად არიან.

ხოლო შეჯიბრება 7 ივნისს A ჯგუფის მატჩით, შვეიცარია — ჩეხეთით გაიხსნება. ამ შეხვედრას ბაზელის „სანტ იაკობ პარკი“ უმასპინძლებს. A ჯგუფის კიდევ ორი გუნდი გახლავთ თურქეთი და პორტუგალია.

D ჯგუფში ევროპის მოქმედი ჩემპიონის, საბერძნეთის გარდა მოხვდნენ შვედეთი, ესპანეთი და რუსეთი. ევროპის მე-13 ჩემპიონატი შვეიცარიისა და ავსტრიის რვა ქალაქის რვა სტადიონზე გაიმართება. ფინალი 30 ივნისს ვენის „ერნსტ ჰაპელზეა“ დანიშნული.

წილისყრის ცერემონიალი მიჰყავდათ შვეიცარიელ მსახიობს მელანი ვინიგერსა და ავსტრიელ ტელეწამყვანს რაინერ პარიაშეკს. მათთან ერთად სცენაზე თანმიმდევრობით ავიდნენ ევროპის სხვადასხვა დროის ჩემპიონები: რუსი ვალენტინ ივანოვი (1960), ესპანელი ლუის სუარესი (1964), იტალიელი დინო ძოფი (1968), გერმანელი ფრანც ბეკენბაუერი (1972), ჩეხი ანტონ ონდრუში (1976), კვლავ გერმანელი ბერნარდ დიცი (1980), ფრანგი მიშელ პლატინი (1984), ჰოლანდიელი მარკო ვან ბასტენი (1988), დანიელი პეტერ შმაიხელი (1992), გერმანელი იურგენ კლინსმანი (1996), ფრანგი დიდიე დეშანი (2000) და ბერძენი თეოდორას ზაგორაკისი (2004). ჩამოთვლილთაგან რვა სცენაზე ბოლომდე დარჩა და უეფას წარმომადგენელ ჯანი ინფანტინოსთან ერთად კენჭი ყარა.

ბუნებრივია, ცერემონიალს ჰქონდა შთამბეჭდავი საკონცერტო ნაწილიც. მასში მონაწილეობდნენ ხოსე კარერასი, ქორო „ვენელი ბიჭები“ და სხვანი.

**ბაკუნა ძედია**

## A ჯგუფი

# დავიწყებულის გახსენება






7 ივნისი 20.00 ბაზელი
შვეიცარია – ჩეხეთი
7 ივნისი 22.45 ჟენევა
პორტუგალია – თურქეთი
11 ივნისი 20.00 ჟენევა
ჩეხეთი – პორტუგალია
11 ივნისი 22.45 ბაზელი
შვეიცარია – თურქეთი
17 ივნისი 22.45 ბაზელი
შვეიცარია – პორტუგალია
17 ივნისი 22.45 ჟენევა
თურქეთი – ჩეხეთი

**C ჯგუფივით** სიკვდილისას ვერ ვუწოდებთ, თუმცა A ჯგუფშიც ღვივის საკმარისი ინტრიგა და დაძაბულობა. თურქეთი, ჩეხეთი და მით უფრო, შვეიცარია, მართალია, ევროპის გრანდებს არ განეკუთვნებიან, მაგრამ ბრძოლის ჟინი და თავდადება არცერთს აკლია. თანაც, ამ ჯგუფში მოიყარეს თავი ბოლო წლებში მოედანზე მომხდარი ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი ინციდენტის მონაწილეებმა.

2005 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფშიც ერთად იყვნენ თურქეთი და შვეიცარია, რომელთა სტამბოლურ მატჩშიც მომხდარი ამბები საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ფეირ პლეის წესების დარღვევა. ისედაც დრამატული მატჩის ერთ-ერთ დაძაბულ მომენტში მოთამაშეებმა ზედ მოედანზე გაახალეს დაკადაკა — ხელჩართული ჩხუბი კარგა ხანს გაგრძელდა და ფიფასგან ორივე გუნდის მკაცრად დასჯა მოჰყვა.

როცა გუშინდელი კენჭისყრისას თურქეთი და შვეიცარია კვლავ ერთ ჯგუფში მოხვდნენ, ჟურნალისტებმა უპირველესად 2 წლის წინანდელი ამბები გაახსენეს ამ ნაკრებთა თავკაცებს.

„თურქებსა და შვეიცარიელებს შორის პრობლემა არ არსებობს — განაცხადა შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელმა იაკობ კუნმა. ხალხს მაინცდამაინც ის უმსგავსო ამბავი ახსოვს, რომელიც ჩვენთვის უკვე კარგა ხნის დავიწყებულია. დარწმუნებული ვარ, ჩვენი გუნდების მატჩი ევროჩემპიონატზე ფეირ პლეის წესების ზედმიწევნით დაცვით ჩაივლის“.

თურქების თავკაცი, ფათიჰ თერიმი: „ძალიან სერიოზული და ძლიერი ჯგუფია. რაც ჩვენი გუნდების მატჩში 2 წლის წინ მოხდა, ძველი ამბავია და ახლა ყველაფერი წესრიგშია. ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს შვეიცარიელ მოთამაშეებთან.“

სხვათა შორის, ევროჩემპიონატის გახსნის მატჩი A ჯგუფისაა: 7 ივნისს შვეიცარია ჩეხეთის ნაკრებს გაეჯიბრება.

**ირაკლი პერტაია**

## B ჯგუფი




8 ივნისი 20.00 ვენა
ავსტრია – ხორვატია
8 ივნისი 22.45 კლაგენფურტი
გერმანია – პოლონეთი
12 ივნისი 20.00 კლაგენფურტი
ხორვატია – გერმანია
12 ივნისი 22.45 ვენა
ავსტრია – პოლონეთი
16 ივნისი 22.45 ვენა
ავსტრია – გერმანია
16 ივნისი 22.45 კლაგენფურტი
პოლონეთი – ხორვატია

**წილისყრის** შემდეგ ექსპერტების დიდი ნაწილი B ჯგუფს ყველაზე სუსტად მიიჩნევს და ამაში გარკვეული ლოგიკაც არის. თუმცა რატომღაც გვგონია, რომ არც ამ ჯგუფში განვითარდება ისე იოლად და დაგეგმილად მოვლენები, როგორც მავანს ჰგონია.

პირველ რიგში, აღვნიშნოთ, რომ B ჯგუფში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დებიუტანტი ითამაშებს — მასპინძელი ავსტრია, ასევე ევროპის ჩემპიონატის ყველაზე მეტჯერ, სამჯერ მომგები გერმანია და ინგლისის გამამწარებელი ჯიგრიანი ხორვატია.

„თუ სხვა ჯგუფებს შევხედავთ, ვფიქრობ, კმაყოფილები უნდა ვიყოთ. თუმცა მასპინძლებთან თამაში არასდროს არის ადვილი და პოლონეთიც საკმაოდ ძლიერი გუნდია, მაგრამ სტატისტიკისა და ბოლოდროინდელი შედეგების მიხედვით, ალბათ ყველაზე მეტად ხორვატიის უნდა გვეშინოდეს. ვნახოთ, ჩვენ საბრძოლველად მზად ვართ“ — თქვა გერმანიის ნაკრების მენეჯერმა ოლივერ ბირჰოფმა.

**ძოძი ძანძღაძე**

# ყველაზე სუსტები?



# 2008 წლის ევროპის ჩემპიონატი. ფინალური ეტაპი. წილისყრა

## C ჯგუფი

# გულში კი ვინ იცის, რა ხდება






9 ივნისი 20.00 ციურიხი
რუმინეთი – საფრანგეთი
9 ივნისი 22.45 ბერნი
ჰოლანდია – იტალია
13 ივნისი 20.00 ციურიხი
იტალია – რუმინეთი
13 ივნისი 22.45 ბერნი
ჰოლანდია – საფრანგეთი
21 ივნისი 22.45 ბერნი
ჰოლანდია – რუმინეთი
21 ივნისი 22.45 ციურიხი
საფრანგეთი – იტალია

**„მთავარია,** ასეთივე კარგ ფორმაში ვიყოთ. შიშით არავისი გვეშინია. ნაკრებებმა, რომლებიც წილისყრაში მონაწილეობდნენ, ეს დაიმსახურეს და ყველანი ძლიერები არიან. თუ სიკვდილის ჯგუფში მოვხვდით, რა გაეწყობა, ყველა ვარიანტში გამარჯვებისთვის ვითამაშებთ" — თქვა წილისყრამდე ერთი დღით ადრე იტალიის ნაკრების მწვრთნელმა რობერტო დონადონიმ.

ასე აუხდა ყველაფერი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის მწვრთნელს. მან წილისყრის დასრულების მერე ცალყბად გაიღიმა...

ვერ გეტყვით, რამდენად გაუხარდა მას წილისყრის შედეგები, მაგრამ იტალია, უდავოდ, ეგრეთ წოდებულ სიკვდილის ჯგუფში მოხვდა, რომლიდან გასვლაც ძალიან გაუჭირდება, ისევე, როგორც ამ ჯგუფის სხვა მობინადრეებს — ჰოლანდიას, რუმინეთსა და საფრანგეთს.

ვითარებას ძაბავს ისიც, რომ იტალია-საფრანგეთი ევრო 2008-ის შესარჩევ ეტაპზეც ერთ ჯგუფში იყვნენ და ერთმანეთთან დღემდე სიტყვიერი ომი აქვთ, რასაც ამ ქვეყნების ისტორიული დაპირისპირებაც უდევს ფონად და... მოკლედ, ეს ლაპარაკი ძალიან შორს წაგვიყვანს.

სხვათა შორის, ევრო 2008-ის შესარჩევ ეტაპზე ჰოლანდიაც და რუმინეთიც ერთ ჯგუფში იყვნენ და დაპირისპირება მათ შორისაც გრძელდება.

**გიორგი ძაძაძე**




10 ივნისი 20.00 ინსბრუკი
ესპანეთი – რუსეთი
10 ივნისი 22.45 ზალცბურგი
საბერძნეთი – შვედეთი
14 ივნისი 20.00 ინსბრუკი
შვედეთი – ესპანეთი
14 ივნისი 22.45 ზალცბურგი
საბერძნეთი – რუსეთი
18 ივნისი 22.45 ზალცბურგი
საბერძნეთი – ესპანეთი
18 ივნისი 22.45 ინსბრუკი
რუსეთი – შვედეთი

## D ჯგუფი

# ამბობენ, ყველას გაგვიმართლაო



**ჯგუფში** ესპანეთი, რუსეთი, შვედეთი და საბერძნეთი რომ მოხვდნენ, მეტოქეთა მწვრთნელები თითქოს შეთანხმდნენო, ერთხმად ამბობენ, გაგვიმართლაო.

ლარს ლაგერბეკი, შვედეთის ნაკრების მწვრთნელი: „როდესაც პირველი ორი ჯგუფი შეივსო, ცოტა არ იყოს, ვნერვიულობდი. კალათაში მარტო იტალია და ჩვენ ვიყავით დარჩენილები და ერთი გავიფიქრე, ღმერთო, ოღონდ ახლა იტალია ამოიღონ, რომ ჰოლანდიასთან, საფრანგეთთან და რუმინეთთან არ მოვხვედრილიყავით. ამ შემთხვევაში გაგვიმართლა.

შედარებაც არ არის, გაცილებით იოლ ჯგუფში მოვხვდით, თუმც ესეც პირობითია, რადგან ევროპის ჩემპიონატზე სუსტი ჯგუფი არ არსებობს. ვფიქრობ, თანაბარი ჯგუფია და გამოკვეთილი ფავორიტი არ ჰყავს. პლეი ოფში გასვლის კარგი შანსი ყველა გუნდს აქვს".

გუს ჰიდინკი, რუსეთის ნაკრების მწვრთელი: „შეიძლება, უარესიც ყოფილიყო, ან უკეთესი. კენჭისყრით კმაყოფილი ვარ. თანაბარი ძალის მეტოქეები გვყავს. თანაც ჯგუფის პირველ მატჩში, ჩემი აზრით, ოდნავ გამოკვეთილ ფავორიტს, ესპანეთს ვეთამაშებით და ეს შეხვედრა ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. ჩვენი მინიმუმი ჯგუფიდან გასვლაა, რაც რეალურია და ამისი ძალა ნაღდად გვაქვს".

ოტო რეჰაგელი, საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი: „კენჭისყრით კმაყოფილი ვარ, რადგან ჯგუფში იტალიის, საფრანგეთის, გერმანიისა და ჰოლანდიის დარი გრანდი არ გვყავს. თუმც ეს არ ნიშნავს, რომ პლეი ოფისკენ იოლი გზა გველის. პირიქით, ხშირად სწორედ ერთი შეხედვით თანაბარ ჯგუფში ხდება მოულოდნელი ამბები. ჩემი აზრით, ოდნავ გამოკვეთილი ფავორიტი ესპანეთია, აი, დანარჩენებს კი ერთმანეთში მოგვიწევს მეორე საგზურისთვის ბრძოლა.

ლუის არაგონესი, ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი: „სიმართლე გითხრათ, რაღაც მათემატიკურ გათვლებზე და ვინ რომელ კალათაში იყო, არც მიფიქრია. როდესაც ევროპის ჩემპიონატზე თამაშობ და მის მოგებაზე გაქვს პრეტენზია, ნებისმიერი დონის მეტოქის დასამარცხებლად მზად უნდა იყო. ვფიქრობ, კენჭისყრით ჩვენც გაგვიმართლა. არც ისე რთული ჯგუფია და იქ ჩარჩენა არ გვეპატიება".

**გაჩო სვანიძე**

## მეოთხედფინალი

19 ივნისი 22.45 ბაზელი
I A1 – B2

20 ივნისი 22.45 ვენა
II B1 – A2

21 ივნისი 22.45 ბაზელი
III C1 – D2

22 ივნისი 22.45 ვენა
IV D1 – C2

## ნახევარფინალი

25 ივნისი 22.45 ბაზელი
I წყვილის გამარჯვებული – II წყვილის გამარჯვებული

26 ივნისი 22.45 ვენა
III წყვილის გამარჯვებული – IV წყვილის გამარჯვებული

## ფინალი

29 ივნისი 22.45 ვენა



# ნაგებშულები ცხადია ჩივიან



„ბოლტონის“ გვემაში წვლილი ფერნანდო ტორესმაც შეიტანა

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### XV ტური

**ბლექბერნი 3:1 ნიუკასლი**
0:1 მარტინსი (47), 1:1, 2:1 ბენტლი (54, 67), 3:1 თუგაი (90)
ბლექბერნი: ფრიდელი, ემერტონი, ოიერი, სამბა, უორნოკი, ბენტლი, თუგაი, მოკოენა (რიდი 66), დანი (პედერსენი 58), მაკკარტი (რობერტსი 61), სანტა კრუზი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
ნიუკასლი: გივენი, ბეიე, როზენალი, ფეიე (კარი 24; ვიდუკა 72), ნზოგბია, ჯერემი, ბათი, ბარტონი, მარტინსი, სმიტი, მილნერი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: ბენტლი, თუგაი, ბათი, ბარტონი, მილნერი
მსაჯი: ატკინსონი
27 477 მაყურებელი

**ასტონ ვილა 1:2 არსენალი**
1:0 გარდნერი (14), 1:1 ფლამინი (23), 1:2 ადებაიორი (36)
ასტონ ვილა: კარსონი, ნაითი, მელბერგი, ლაურსენი, ბუმა (ბერგერი 76), გარდნერი, პეტროვი (მელოუნი 32), ბერი, იანგი, აგბონლაჰორი, კარეუ
მწვრთნელი: მარტინ ონილი
არსენალი: ალმუნია, სანია, კ. ტურე, გალასი, კლიში, ებუე, ლ. დიარა, ფლამინი, როსიცკი (ჟილბერტო სილვა 74), გლები (უოლკოტი 60), ადებაიორი (ბენდტნერი 90)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ბუმა, კარეუ, იანგი, ადებაიორი, გალასი
მსაჯი: ფოი
42 018 მაყურებელი

**ჩელსი 1:0 ვესტ ჰემი**
1:0 ჯ. კოული (76)
ჩელსი: კუდიჩინი, ბელეტი, ალექსი, ტერი, ბრიჯი, სიდველი (შ. რაიტ-ფილიპსი 66), მიკელი, ლამპარდი, ჯ. კოული (მაკელელე 89), დროგბა, ს. კალუ
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
ვესტ ჰემი: გრინი, ნილი, გაბიდონი, აპსონი, მაკკარტნი, სოლანო (ლიუნგბერგი 74), პარკერი (სპექტორი 79), მალინსი, ეზერინგტონი (ეშტონი 79), ბოა მორტე, ჯ. კოული
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: მიკელი, კალუ, ბელეტი, ლამპარდი, ტერი, ეზერინგტონი, სოლანო, ბოა მორტე
მსაჯი: ვები
41 830 მაყურებელი

**უიგანი 1:1 სიტი**
0:1 ჯოვანი (1), 1:1 შარნერი (25)
უიგანი: კირკლანდი, მელხიოტი, ბრამბლი, ბოისი, კილბეინი, ვალენსია, შარნერი, ლანძაატი, კუმასი, მ. ბენტი, ჰესკი (ტეილორი 53)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
სიტი: ისაკსონი, კორლუკა, დანი, რიჩარდსი, გარიდო (ბოლი 36), აირლენდი, ჰამანი, ელსონი, ჯოვანი (ეტუჰუ 69), პეტროვი, სამარასი (ბიანკი 78)
მწვრთნელი: სვენ-გორან ერიკსონი
გაფრთხილება: ბრამბლი, შარნერი, ჰამანი, ბოლი
გაძევება: მელხიოტი (88)
მსაჯი: რაილი
18 614 მაყურებელი

**ლივერპული 4:0 ბოლტონი**
1:0 ჰიიპია (17), 2:0 ტორესი (45), 3:0 ჯერარდი (56პ), 4:0 ბაბელი (86)
ლივერპული: რეინა, კარაგერი (ჰობსი 51), ჰიიპია, არბელოა, ბენაიუნი, ჯერარდი, ლეივა, რიისე, კუიტი (ბაბელი 67), კრაუჩი, ფ. ტორესი (კუიტი 76)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ბოლტონი: იასკელაინენი, მიხალიკი, მეიტე, სემუელი, გარდნერი, კამპო, მაკანი, სპიდი, ჯ. დევისი, ანელკა, დიუფი (იაკუბუ 66)
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: დიუფი, კამპო, მიხალიკი
მსაჯი: ბენეტი
43 270 მაყურებელი

**პორტსმუთი 0:0 ევერტონი**
პორტსმუთი: ჯეიმსი, გ. ჯონსონი, კემპბელი, დისტინი, ჰამარო, უტაკა (კანუ 67), დიოპი, პ. მენდეში, მუნტარი, კრანჩარი, მვარუვარი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ევერტონი: ჰოვარდი, ფ. ნევილი, იობო, ლესკოტი, ნუნო ვალენტე, არტეტა, ოსმანი, კარსლი, კეჰილი, პიენაარი (დ. ჯონსონი 53), აიეგბენი (ანიჩებე 67)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: მუნტარი, პიენაარი, კეჰილი
მსაჯი: უოლტონი
20 102 მაყურებელი

**რედინგი 1:1 მიდლსბრო**
1:0 კიტსონი (54), 1:1 თუნჯაი (83)
რედინგი: ჰანემანი, მარტი, სონკო, ინგიმარსონი, შორი, ჰანტი, ჰარპერი, გუნარსონი (ლონგი 86), კონვი (ბიკეი 77), დოილი, კიტსონი
მწვრთნელი: სტივ კოპელი
მიდლსბრო: ტარნბალი, იანგი, ვუდგეიტი (ჰუთი 69), უიტერი, პოგატეცი, ჯონსონი (კეტერმოლი 89), ბოატენგი, როჩემბაკი, დაუნინგი, ალიადირი, ლი (თუნჯაი 70)
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
გაფრთხილება: მარტი, გუნარსონი, ჯონსონი
მსაჯი: ვაილი
22 262 მაყურებელი

**ტოტენჰემი 2:3 ბირმინგემი**
0:1 მაკშეფრი (24პ), 1:1, 2:1 კინი (50პ, 53), 2:2 ჯერომი (62), 2:3 ლარსონი (90)
ტოტენჰემი: რობინსონი, ჩიმბონდა, დოუსონი, კაბული (ჰადლსტოუნი 46), ბეილი (ლი 75), ლენონი, ზოკორა, მალბრანკი, დ. ბენტი (დეფო 46), ბერბატოვი, კინი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ბირმინგემი: ტეილორი, კელი, ჯერუ, რიდგუელი, შმიტცი (ბარნაბი 63), დე რიდერი (ფორსელი 66), ლარსონი, მაკშეფრი (კაპო 77), მუამბა, ნაფტი, ჯერომი
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
გაფრთხილება: შმიტცი
გაძევება: კინი (68)
მსაჯი: დოუდი
35 635 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:0 დერბი**
1:0 სტოკსი (90)
სანდერლენდი: გორდონი, ჰალფორდი, მაკშეინი, ჰიგინბოთემი, კოლინზი, ედვარდსი (სტოკსი 78), ლიდბიტერი (მილერი 83), უიტჰედი, უოლესი, ჯონსი, ენდი კოული (ჩოპრა 64)
მწვრთნელი: როი კინი
დერბი: ბივატერი, გრიფინი, დევისი, მური, მაკივერი, ტილი (ლიკოკი 84), ოკლი, პირსონი, ბერნესი (ფაგანი 70), ჰოვარდი, მილერი (ერნშოუ 86)
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
გაფრთხილება: სტოკსი, მაკივერი
მსაჯი: ჰალსი
42 380 მაყურებელი

**მანჩესტერი — ფულემი**
დღეს გაიმართება

„არსენალმა“ იმარჯვა და კვლავ პირველ ადგილზეა. „მეთოფეებს“ ბირმინგემში გაუჭირდათ, რადგან ზედიზედ ოთხ ტურში მოგებ „ასტონ ვილას“ ესტუმრნენ. ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველმა კრეიგ გარდნერმა მასპინძლები მალევე დააწინაურა — იოან კარეუს პასით გაიტანა, მაგრამ „არსენალმა“ შესვენებამდე ორით უპასუხა.

ტომაშ როსიცკის ნამუშევარი მეტიუ ფლამინიმ 20 მეტრიდან დარტყმით და გოლით გაალამაზა, ხოლო ადებაიორმა თავით გამარჯვებისა გაიტანა.

„ძალიან ძლიერი გუნდის წინააღმდეგ თამაშის შემობრუნება შევძელით და ვფიქრობ, ჩემი ბიჭები ქებას იმსახურებენ“ — თქვა არსენ ვენგერმა. „მეორე ტაიმს ჩვენ ვაკონტროლებდით და ალბათ, ქულა მაინც გვეკუთვნოდა“ — დაიჩივლა მარტინ ონილმა.

მოკლედ, „არსენალი“ კვლავ დაუმარცხებელია და პრემიერლიგას ლიდერობს.

ამასობაში „ჩელსიმ“ წაუგებელი სერია 14-მდე გაზარდა. ჯო კოულმა ყოფილ კლუბს გაუტანა და „ვესტ ჰემი“ უქულოდ გაისტუმრა. სტუმართა მწვრთნელმა ალან კერბიშლიმ მატჩამდე კოლეგა ავრაამ გრანტი გააკრიტიკა და პასუხად მარცხი მიიღო. „ქულა რომ წაგვეღო, უფრო სამართლიანი იქნებოდა — თქვა კერბიშლიმ — დაცვაში კარგად ვითამაშეთ და ამიტომ, გული უფრო მეტად დამწყდა გაშვებული გოლის გამო“.

„ველოდით, რომ მეტოქე აგრესიულ ფეხბურთს შემოგვთავაზებდა და ტაქტიკაც შესაბამისი შევარჩიე, რამაც გაამართლა და შესვენების შემდეგ უკვე საკუთარი თამაში მოვახვიეთ თავს“ — განაცხადა გრანტმა.

„დერბის“ ახალ მწვრთნელს პოლ ჯუელს ქულა თითქმის ჯიბეში ედო, მაგრამ შეცვლაზე შესულმა სანდერლენდელმა სტოკსმა ბოლო წამს გაიტანა. „სანდერლენდი“ ბოლო წუთებზე გატანის ოსტატი იყო წინა სეზონის ჩემპიონლიგაში და პრემიერლიგაში გადმოსულმაც ეს არაერთხელ დაამტკიცა.

წინა ტურში „ევერტონთან“ 1:7 წაგებ გუნდს გამარჯვება სჭირდებოდა და კიდეც მიაღწია. აღსანიშნავია, რომ პრემიერლიგიდან გავარდნის მთავარ კანდიდატ „დერბის“ სტუმრად გოლი აქამდეც არ გაუტანია და ამჯერადაც ვერ მოახერხა.

„პორტსმუთს“ საკუთარი მწვრთნელივით უიღბლო დღე ჰქონდა. კორუფციაში ბრალდებული ჰარი რედნაპი წინა კვირაში დააპატიმრეს და გაათავისუფლეს კიდეც. მისმა გუნდმა კი „ევერტონთან“ აურაცხელი მომენტები ვერ გამოიყენა, არადა, გამარჯვების შემთხვევაში ოთხეულში შევიდოდა.

ბლექბერნში მასპინძლებმა „ნიუკასლი“ დაამარცხეს და ხანმოკლე კრიზისიდან გამოვიდნენ, მაგრამ მათი გამოსვლა „ნიუკასლის“ მძიმე დღეების დასტურია. სემ ალარდაისის გუნდმა ბოლო ხუთიდან ოთხი მატჩი წააგო, არადა, შაბათს ობაფემი მარტინსის გოლით იგებდა. ამან გამოაფხიზლა მასპინძლები და დევიდ ბენტლიმ 13 წუთში დუბლი შეასრულა, ხოლო თუგაიმ „კაჭკაჭების“ მარცხს ბოლო წუთს წერტილი დაუსვა.

გუშინ „ლივერპულმა“ მშობლიურ „ენფილდ როუდზე“ მოსულ ხალხს დიდი სიამოვნება მიანიჭა — მერსისაიდელი პუბლიკა თავისი კერპების ერთბაშად 4 გოლის მოწმე გახდა. „ბოლტონის“ ფინელი კიპერის იუსი იასკელაინენის კარში პირველ ტაიმში გოლები მისმა თანამემამულე სამი ჰიიპიამ და ესპანელმა ფერნანდო ტორესმა გაიტანეს, ხოლო მეორე ნახევარში თავი კაპიტანმა ჯერარდმა და ჰოლანდიელმა რაიან ბაბელმა გამოიჩინეს. ამ მოგებამ ბენიტესის რაზმი ცხრილის მე-4 საფეხურზე ალაზევა, თუმცა დღეს „მანჩესტერი“ „ფულემს“ მასპინძლობს...

„უაით ჰართ ლეინზე“ კი საფეხბურთო დრამა გათამაშდა. სტივენ ბრიუსის დებიუტი იღბლიანი გამოდგა — „ბირმინგემმა“ მისი ხელმძღვანელობით პირველივე მატჩი მოიგო. ამ შეხვედრის გმირიც და ანტიგმირიც ერთი და იგივე კაცი გახლდათ — „დეზთა“ ირლანდიელმა კაპიტანმა რობი კინმა ორი გოლი შეაგდო, მაგრამ მსაჯს წითელი ბარათიც დასტყუა, ხოლო მის გარეშე ლონდონელებმა სტუმართა წნეხს ველარ გაუძლეს. „ტოტენჰემმა“ სეზონში მარცხი მეშვიდედ იგემა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 14 | 11 | 3 | 0 | 31:11 | 36 |
| ჩელსი | 15 | 9 | 4 | 2 | 22:9 | 31 |
| ლივერპული | 14 | 8 | 6 | 0 | 26:6 | 30 |
| მანჩესტერი | 14 | 9 | 3 | 2 | 23:7 | 30 |
| სიტი | 15 | 9 | 3 | 3 | 19:15 | 30 |
| პორტსმუთი | 15 | 7 | 6 | 2 | 25:13 | 27 |
| ასტონ ვილა | 15 | 8 | 3 | 4 | 26:16 | 27 |
| ბლექბერნი | 15 | 7 | 5 | 3 | 20:18 | 26 |
| ევერტონი | 15 | 7 | 3 | 5 | 26:16 | 24 |
| ვესტ ჰემი | 14 | 5 | 4 | 5 | 19:12 | 19 |
| ნიუკასლი | 14 | 5 | 3 | 6 | 20:24 | 18 |
| ბირმინგემი | 15 | 4 | 2 | 9 | 16:24 | 14 |
| რედინგი | 15 | 4 | 2 | 9 | 18:32 | 14 |
| ფულემი | 14 | 2 | 7 | 5 | 18:22 | 13 |
| სანდერლენდი | 15 | 3 | 4 | 8 | 15:29 | 13 |
| ტოტენჰემი | 15 | 2 | 6 | 7 | 26:28 | 12 |
| ბოლტონი | 15 | 2 | 5 | 8 | 12:22 | 11 |
| მიდლსბრო | 15 | 2 | 5 | 8 | 13:27 | 11 |
| უიგანი | 15 | 2 | 3 | 10 | 11:26 | 9 |
| დერბი | 15 | 1 | 3 | 11 | 5:34 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ადებაიორი (არსენალი) | 8 |
| მვარუვარი (პორტსმუთი) | 8 |
| ანელკა (ბოლტონი) | 7 |

### XVI ტური
8 დეკემბერი

| | |
|---|---|
| ასტონ ვილა | პორტსმუთი |
| ბლექბერნი | ვესტ ჰემი |
| ბოლტონი | უიგანი |
| ჩელსი | სანდერლენდი |
| ევერტონი | ფულემი |
| მანჩესტერი | დერბი |
| მიდლსბრო | არსენალი |
| ნიუკასლი | ბირმინგემი |
| რედინგი | ლივერპული |
| ტოტენჰემი | სიტი |

### ჩემპიონატი. XIX ტური

ბლეკპული — ქუინზ პარკი 1:0; ჩარლტონი — ბარნლი 1:3; ქოვენთრი — შეფილდი 0:1; კრ. პალასი — ვესტ ბრომვიჩი 1:1; ჰალი — კარდიფი 2:2; იფსვიჩი — ბარნსლი 0:0; ლესტერი — საუთჰემპტონი 1:2; პლიმუთი — სკანთორპი 3:0; უოტფორდი — კოლჩესტერი 1:2; სტოკი — ნორვიჩი 2:1; ვულვზი — პრესტონი 1:0; უოტფორდი — ბრისტოლი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უოტფორდი | 19 | 11 | 3 | 5 | 33:25 | 36 |
| ვესტ ბრომვიჩი | 19 | 10 | 5 | 4 | 38:18 | 35 |
| ვულვზი | 19 | 9 | 6 | 4 | 20:15 | 33 |
| ჩარლტონი | 19 | 9 | 4 | 6 | 25:21 | 31 |
| ბრისტოლი | 19 | 8 | 7 | 4 | 23:23 | 31 |
| პლიმუთი | 19 | 8 | 6 | 5 | 27:20 | 30 |
| სტოკი | 19 | 8 | 6 | 5 | 27:24 | 30 |
| იფსვიჩი | 18 | 8 | 5 | 5 | 33:23 | 29 |
| ბარნლი | 18 | 7 | 7 | 4 | 26:22 | 28 |
| ჰალი | 19 | 7 | 6 | 6 | 25:20 | 27 |
| ბარნსლი | 19 | 7 | 6 | 6 | 23:25 | 27 |
| შეფილდი | 19 | 7 | 5 | 7 | 25:23 | 26 |
| საუთჰემპტონი | 19 | 8 | 2 | 9 | 27:36 | 26 |
| ქოვენთრი | 19 | 7 | 4 | 8 | 21:28 | 25 |
| უენსდი | 19 | 7 | 3 | 9 | 26:27 | 24 |
| ლესტერი | 18 | 4 | 9 | 5 | 17:14 | 21 |
| კრ. პალასი | 19 | 4 | 9 | 6 | 21:23 | 21 |
| სკანთორპი | 19 | 5 | 6 | 8 | 20:26 | 21 |
| კოლჩესტერი | 19 | 4 | 8 | 7 | 30:31 | 20 |
| კარდიფი | 18 | 4 | 8 | 6 | 22:25 | 20 |
| ბლეკპული | 18 | 4 | 7 | 7 | 20:25 | 19 |
| ქუინზ პარკი | 18 | 3 | 7 | 8 | 15:28 | 16 |
| პრესტონი | 19 | 3 | 6 | 10 | 16:25 | 15 |
| ნორვიჩი | 19 | 4 | 3 | 12 | 16:29 | 15 |

### მეორე ლიგა
### გადადებული მატჩები

**როჩდეილი 0:0 რექსემი**

**შრიუსბერი 2:0 მაკლსფილდი**

### კონფერენსლიგა. XXI ტური

უოკინგი — ებსფლითი 1:0; ალტრინჩემი — ჰისტონი 1:2; სტაფორდი — ნორსვიჩი 0:0; იორკი — ქროული 1:1; სალისბერი — ალდერშოტი 0:4. ფერსლი — ტორკი, ფორესტ გრინი — ჰალიფაქსი, გრეისი — ბარტონი და ოქსფორდი — ვეიმუთი გადაიდო

### ასოციაციის თასი. II ეტაპი

ჰორშემი — სუონსი 1:1; ბრედფორდი — ტრანმერი 0:3; როთერჰემი — რაშდენი 5:1; ბარტონი — ბარნეტი 1:1; ბერი — ექსეტერი 1:0; დაგენემი — კიდერმინსტერი 3:1; ჰერეფორდი — ჰარტლპული 2:0; ჰადერსფილდი — გრიმსბი 3:0; მილუოლი — ბორნმუთი 2:1; ნორთჰემპტონი — უოლსოლი 1:1; ნოტსი — შევენტი 0:1; ოლდემი — ქროუ 1:0; ოქსფორდი — საუთენდი 0:0; სტეინსი — პიტერბორო 0:5; სუინდონი — ფორესტ გრინი 3:2; ტორკი — ბრაიტონი 0:2; კემბრიჯი — [illegible] — მენსფილდი 2:3; პორტ ვეილი — ჩესთაუნი 1:1

## გერმანია
### ბუნდესლიგა
### XV ტური

**შალკე 1:0 ბოხუმი**

1:0 ბორდონი (32)
შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ჯონსი, ფ. ერნსტი, რაკიტიჩი (გროსმიულერი 82), იოზილი (ასამოა 62), კურანი, ჰალილ ალტინტოპი (ლოვენკრანდსი 62)
მწვრთნელი: მირკო სლომკა
ბოხუმი: რენი, კონჩა, მალტრიცი, იაია (პ. ბიონიგი 14), პფერცელი, იმჰოფი, დრშკეი (ბეხმანი 73), ეპალე, შესტაკი, დ. ფუხსი, მავსელი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
გაფრთხილება: ერნსტი, შესტაკი
მსაჯი: მეიერი
61 482 მაყურებელი

**კოტბუსი 2:0 კარლსრუე**

1:0 ანგელოვი (62), 2:0 რანგელოვი (75)
კოტბუსი: ტრემელი, და სილვა, ი. მიტრეასკი, ცვეტანოვიჩი, ციბიგი, ბასილა, ს. ანგელოვი, ტ. როსტი (კიოიო 88), შკელა, რანგელოვი (ალონფეფტისი 90), დ. სორენსენი (რივიჩი 76)
მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი
კარლსრუე: კორნეცკი, ა. გიორლიცი, ეგიმენი, შტოლი, აიხნერი, პორკელოი, მუტცელი, ტიმი (ადუბე 58), ჰაინალი, ფრაისი, კაპლანი (ორაჰოვაცი 68)
მწვრთნელი: ედმონდ ბეკერი
გაფრთხილება: ანგელოვი, ტიმი, სორენსენი
მსაჯი: ზეემანი
10 914 მაყურებელი

**არმინია 0:1 ბაიერნი**

0:1 რიბერი (22)
არმინია: ჰაინი (ფერნანდესი 46), კორზინეცი, კუჩერა, გაბრიელი, შულერი (ბიომე 82), კაუფი, ზუმა, კირხი, ტ. მარქსი, კამპერი, ვიშნიარეკი
მწვრთნელი: ერნსტ მიდენდორპი
ბაიერნი: კანი, ლელი, ვან ბუიტენი, დემიკელისი, ლამი, ვან ბომელი, ზე რობერტო, კროოსი (ჰამიტ ალტინტოპი 75), რიბერი, კლოზე (ოტლი 88), ტონი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: გაბრიელი, ტონი
მსაჯი: ვაინერი
23 800 მაყურებელი

**ვერდერი 2:1 ჰამბურგი**

1:0 სანოგო (15), 1:1 ვან დერ ვაარტი (61), 2:1 ჰასანენი (64)
ვერდერი: ვანდერი, ჰასანენი, მერტესაკერი, ნალდო, ტოშიჩი, ბაუმანი (მუნტი 46), ფრანიეში, დ. იენსენი, დიეგო, როზენბერგი (კლასნიჩი 81), სანოგო (ლ. ანდრეასენი 87)
მწვრთნელი: თომას შააფი
ჰამბურგი: ფ. როსტი, ჯ. ბოატენგი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ატუბა, იაროლიმი, დე იონგი (კასტელენი 59), დემელი (კომპანი 59), ვან დერ ვაარტი, ტროხოვსკი (ზიდანი 69), ოლიჩი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
გაფრთხილება: ბაუმანი, დე იონგი, ვან დერ ვაარტი, იაროლიმი
მსაჯი: ფანდელი
42 100 მაყურებელი

**ჰერტა 0:3 ლევერკუზენი**

0:1 რამელო (31), 0:2 ბარნეტა (50), 0:3 ბარბარეზი (90)
ჰერტა: დრობნი, ჩაჰედი, ა. ფრიდრიხი, ვონ ბერგენი, ფატი, მინეირო (გრანი 74), შიმუნიჩი, ლუსტენბერგერი, ჟილბერტო, ებერტი (ანდრე ლიმა 46), პანტელიჩი
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი
ლევერკუზენი: რ. ადლერი, კასტრო, მ. ფრიდრიხი, ჰაგუი, შარპეი, რამელო (სინკევიჩი 82), როლფესი, ფრაიერი (ბ. შნაიდერი 72), ბარბარეზი, ბარნეტა (დუმი 90), კისლინგი
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გაფრთხილება: შიმუნიჩი, რამელო, ა. ფრიდრიხი, ჰაგუი, ვონ ბერგენი, კისლინგი
მსაჯი: კინჰოფერი
40 527 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:2 დორტმუნდი**

0:1 ვალდესი (11), 1:1 მეირა (35), 1:2 პეტრიჩი (79)
შტუტგარტი: რ. შეფერი, ტასკა (ბაშთურქი 46), ფ. მეირა, დელპიერი, მანინი, პარდო, ჰილბერტი (ოსორიო 62), ჰიცლშპერგერი, ხედირა (ევერტონი 80), კაკაუ, მარიკა
მწვრთნელი: არმინ ფეჰ
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ბლაშჩიკოვსკი, ამედიკი, კოვაჩი, დედე კელი, კრინგე, ტინგა, ფედერიკო (კრუშკა 89), პეტრიჩი, ვალდესი (ბაკლი 78)
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: დელპიერი, კოვაჩი, ბლაშჩიკოვსკი
მსაჯი: ბრიხი
55 800 მაყურებელი

**დუისბურგი 1:0 ნიურნბერგი**

1:0 გრლიჩი (72)
დუისბურგი: შტარკე, ვებერი, როკე ჟუნიორი (ფილიპესკუ 85), შლიკე, ვილი, გრლიჩი, ტარარახე, ტიფერტი (გეორგიევი 46), ი. მოხტარი, იშიაკუ (აილტონი 37), ლავრიჩი
მწვრთნელი: ედუარდ ბომერი
ნიურნბერგი: ბლაჟეკი, დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი, ბეჩამპი, რ. შმიდტი, გალაშეკი, ენგელჰარდტი (საენკო 75), ნ. ადლერი, მინტალი (ვიდოშიჩი 81), მისიმოვიჩი, ხარისტეასი (ბენკო 76)
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: ბეჩამპი
მსაჯი: მერკი
20 313 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 2:2 აინტრახტი**

1:0 გენტნერი (6), 1:1 კრისი (35), 2:1 ძეკო (48), 2:2 ფინკი (52)
ვოლფსბურგი: იენჩი (ლენცი 46), ბაიერი, შიმუნეკი, რიკარდუ კოშტა, კიროგა, გენტნერი, ჟოსუე, დეჯაგა (რადუ 84), მარსელინიო, მუნტიანუ (ძეკო 46), გრაფიტე
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
აინტრახტი: პროოლი, პ. ოხსი, რუსი, გალინდო, შპიხერი, კრისი, მ. ფინკი, მაჰდავიკია (მესი 77), ტოსკი (ლიუბიჩიჩი 80), კოლერი (ჩაფტარი 90), ამანატიდისი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
მსაჯი: შიპელი
20 656 მაყურებელი

**ჰანზა 0:3 ჰანოვერი**

0:1 ფარენჰორსტი (84), 0:2 ჰანკე (86), 0:3 შტაინერი (87)
ჰანზა: ვეხტერი, დ. ლანგენი, სებასტიანი, ორესტესი, მ. შტაინი, რატგები, ბაინლიხი (მენგე 87), დორნი (ბარტელსი 77), რანი (ჰირსი 46), კერნი, აგალი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ვინისიუსი, ფარენჰორსტი, კ. შულცი, ბალიტში, ლალა, ს. ჰინტო (შტაინერი 75), ლაუტი (ჰაშემიანი 69), ჰუშტი (კრებსი 85), ჰანკე
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
გაფრთხილება: ბალიტში
მსაჯი: გრეფე
17 000 მაყურებელი

# ჰამბურგმა ვერდერს დღეები დაუთვალა



AFP ბიულეტენიდან

საფეხბურთო ცეკვა ბილეფელდში: მარკ ვან ბომელი და ტორბენ მარქსი

„ჰამბურგს“ ზედიზედ ცხრა მატჩი არ წაეგო და მარცხის გემო ბრემენში გაახსენეს. „ვერდერმა“ 87-ე ჩრდილოგერმანულ დერბიში 28-ედ იმარჯვა და „ჰაბურგს“ (27 მოგება) აქაც გაასწრო და ბუნდესლიგის ცხრილშიც „ვერდერის“ წაუგებელმა სერიამ 10 მატჩს უწია.

„ვერ ვიტყვი, რომ მასპინძლებს ჩვენზე უკეთესი გუნდი ჰყავთ, მაგრამ უფრო მხნედ გამოიყურებოდნენ“ — თქვა სტუმართა მწვრთნელმა ჰუუბ სტევენსმა. ბრემენელებმა ჩემპიონთა ლიგაში ოთხშაბათს ითამაშეს, ხოლო „ჰამბურგი“ უეფას თასზე „რენს“ ხუთშაბათს შეხვდა და შაბათამდე დასასვენებლად მეტოქეზე ნაკლები დრო ჰქონდა. ამიტომაც ახსენა სტევენსმა სიმხნევე.

საჯარიმოში მარცხნიდან შესულმა იურიცა ვრანიეშმა სანოგოს დაუგორა და ფორვარდმა შორ კუთხეში გაიტანა — ასე დაწყნარდა „ვერდერი“, ვან დერ ვაარტმა და ივიცა ოლიჩმა კი პირველ ტაიმში მომენტები ვერ გამოიყენეს.

მასპინძელთა მთავარმეკარის ტიმ ვიზეს შემცვლელმა კრისტიან ვანდერმა ვან დერ ვაარტს მეორე ტაიმში გოლი აჩუქა. მეკარის დარტყმული ბურთი ჰოლანდიელს მიუვიდა და მანაც უკან, კარში დაუბრუნა — 1:1. აქედან სამ წუთში „მუსიკოსები“ კვლავ დაწინაურდნენ — ამჯერად „ჰამბურგის“ მცველს ვინსენ კომპანიას არ გაუმართლა, რომელსაც პარანენის ჩაწოდებული ფეხზე მოხვდა და გეზნაცვალი დაბნეული როსტის კარში აღმოჩნდა.

„ლევერკუზენმა“ ბერლინში იყოჩაღა და „ჰერტა“ საკუთარი ქომაგების თვალწინ შეარცხვინა. ტრანკვილო ბარნეტამ საჯარიმო შეასრულა, კარსტენ რამელოუმ კი 15 მეტრიდან გაიტანა. მეორე ტაიმის დასაწყისში ბარბარესის პასით ბარნეტმა სხვაობა ორამდე გაზარდა, ხოლო მატჩის მიწურულს ბარბარესმა იხეირა და მესამე მატჩში მეოთხე გოლი მიითვალა. ეს იყო „ლევერკუზენის“ ზედიზედ მეოთხე გამარჯვება, რამაც ცხრილში მეოთხე ადგილზე გადაიყვანა.

